# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბერთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.


სამშაბათი, 1 სექტემბერი, 2015 წელი.

№162 (7807)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ვებ გვერდი: www.sakresp.ge | ფასი 50 თეთრი.




„იმედმა“ უთუოდ სწორად გაითვალისწინა საზოგადოების უკურეაქცია ინგა გრიგოლიას როგორც გულის, ისე ტვინის გამაწვრილებელი საავტორო გადაცემების ტრივიალურ-ბანალური ხასიათი და დროულად ჩამოაშორა ისინი ეკრანს, საიდანაც ხალხს უწინარესად სწორედაც იმედიანი და ერის დამრაზმველი სიტყვა უნდა ესმოდეს და არა ჩვენი ისედაც შეჭირვებული ცხოვრების მომაბეზრებლად გაუთავებელი, შენიღბული ჩხრეკა-გაქიაქება.

**გოგა ხაინდრავა:**

## ინგა გრიგოლიას გამო ასეთი წიოკის ატეხა ქვეყანაში სამარცხვინოა, რადგან ინგა გრიგოლიას გადაცემები სწორედაც რომ სამარცხვინო იყო

②

**ავთანდილ არაბული:**



## ამ აღმოჩენამ შეიძლება შეარყიოს თეზა, რომ მწიგნობრობის განვითარება საქართველოში ქრისტიანობის მიღებით იწყება

④



## რუსეთმა ხორბლის ექსპორტი შეწყვიტა – როგორ აისახება ეს საქართველოზე

③

## მზე ხელისგულზე



**ასტროფიზიკოს მიხეილ ალანიას „კოსმოსური თავგადასავალი“**

⑥



**იუზა ჩაკვეტაძე**

## ნეტავ როდის გათენდება!?.

⑯

გული წუხილმა დაისრა,
ვერ ვეღირსეთ გამთელებას,
დაიგვიანა აისმა,
ნეტავ როდის გათენდება!?




# „ნენსკრაჰესის“ პროექტს საქართველოსთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს

**როგორც პრემიერმა ღარიბაშვილმა ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებული ხელმოწერის ცერემონიალზე განაცხადა, „ნენსკრაჰესის“ განხორციელებით დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად აშენდება ასეთი მასშტაბის ჰიდროელექტროსადგური.**

ჰესი ისეა დაპროექტებული, რომ უზრუნველყოს ზამთრის თვეებში იმპორტირებული ელექტროენერგიის ჩანაცვლება. ეს დიდად გააუმჯობესებს ჩვენი ქვეყნის ენერგოსისტემის მდგრადობას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჰესის მშენებლობა ემყარება Build-Operate-Transfer (BOT) სტრუქტურას, რომლის თანახმადაც ინვესტორი ვალდებულია, ააშენოს ჰიდროელექტროსადგური, ოპერირება გაუწიოს მას 35 წლის განმავლობაში და შემდეგ უსასყიდლოდ გადასცეს საკუთრებაში საქართველოს სახელმწიფოს. **„ნენსკრაჰესი“ იქნება საქართველოში პირველი პროექტი, რომელიც განხორციელდება ამ მოდელით და საბოლოოდ სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩება“,** – განაცხადა ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, ეს პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისათვის, ენერგოუსაფრთხოებისა და ენერგოდამოუკიდებლობისათვის.

**„ეს გახლავთ ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტის საიმპლემენტაციო ხელშეკრულებათა პაკეტი, რომელსაც ხელს აწერენ საპარტნიორო ფონდი, კორეული კომპანია K-Water-ი, საქართველოს მთავრობა, „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ და „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“. უნდა აღვნიშნო, რომ „ნენსკრაჰესის“ პროექტის განვითარება 2010 წელს დაიწყო, მაგრამ ეს აღმოჩნდა მოჩვენებითი დაწყება, რადგან შერჩეულმა კომპანიამ ვერ დააკმაყოფილა სათანადო მოთხოვნები. 2013 წლიდან ჩვენ დავიწყეთ ინტენსიური მუშაობა „ნენსკრაჰესის“ პროექტზე“,** – განაცხადა ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, ქვეყანაში შემოდის კორეის სახელმწიფო კომპანია და ეს არის ნდობის გამოხატულება საქართველოსადმი და იმ ბიზნეს კლიმატისადმი, რომელიც ქვეყანაშია.

„ნენსკრაჰესის“ პროექტის ჯამური ინვესტიცია 1 მილიარდი დოლარია, ხოლო სესხის კომპონენტში მონაწილეობენ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, აზიის განვითარების ბანკი და კორეის „ექსიმბანკი“.

ჰესის სიმძლავრეა 280 მეგავატი. მისი პოტენციური წლიური გამომუშავება იქნება 1.2 მილიარდ კილოვატსაათი. სადგური ელექტროენერგიის გამომუშავებას 2019 წლიდან დაიწყებს და 2021 წელს პროექტი საბოლოოდ დასრულდება.

პრემიერის ინფორმაციით, ახალი მთავრობის პირობებში აშენდა 9 ჰიდროელექტროსადგური, რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 157 მეგავატია.

# პრემიერს სოსო დანელია და თამარ ხიდაშელი ეიმედება



**საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, შუალედურ არჩევნებში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს მარტვილში, სოსო დანელიას დიპლომატიურ სფეროში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს.**

ამის შესახებ ირაკლი ღარიბაშვილმა „ქართული ოცნების“ ოფისში, შუალედურ არჩევნებში მაჟორიტარობის კანდიდატთა წარდგენისას განაცხადა. მისი თქმით, დანელია წარმოშობით არის მარტვილიდან.

„სოსო დანელია წლების განმავლობაში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა იტალიის რესპუბლიკაში. გარდა ამისა, არის სამეცნიერო ნაშრომების ავტორი და მინიჭებული აქვს სამეცნიერო ტიტულები საქართველოში და იტალიაში.

მჯერა, რომ ბატონი სოსო მოიპოვებს დამაჯერებელ გამარჯვებას თავის მშობლიურ მარტვილში. მაქსიმალურად გამოიყენებს თავის მრავალმხრივ ცოდნას, გამოცდილებას და იქნება ჩვენი ხალხის ნამდვილი რჩეული ჩვენი ქვეყნის პარლამენტში“, — აღნიშნა ღარიბაშვილმა.

საგარეჯოში კოალიცია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი თამარ ხიდაშელი იქნება.

„მინდა აღვნიშნო, რომ ეს არჩევანი მოწმობს იმას, როგორ მნიშვნელობას ვანიჭებთ კვალიფიციური და პროგრესულად მოაზროვნე ქალების პოლიტიკაში ჩაბმას. თამარ ხიდაშელს ბევრი იცნობს, ის გახლავთ იურისტი, მას აქვს განათლება მიღებული დიდ ბრიტანეთში, ასევე აქვს არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობის დიდი გამოცდილება. ამჟამად მუშაობს ევროკავშირის პროექტში და არის ევროკავშირთან ასოცირების მიმართულებით არაერთი კვლევის, მონიტორინგის და ანგარიშის ავტორი. მას ჰქონდა პრინციპული პოზიცია არჩევნების დროს, როდესაც თავისუფალი აზრის გამოხატვისთვის დევნიდნენ ჩვენს მოქალაქეებს. მინდა ვუსურვო ქალბატონ თამარს წარმატება და დარწმუნებული ვარ, გამარჯვებას მიაღწევს“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

საგარეჯოსა და მარტვილში პარლამენტის შუალედური არჩევნები ოქტომბერში უნდა ჩატარდეს.

## ⦿ კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

**● ალბათ, დაახლოებით, ასე წაიყვანდა ძველი რომაელი ჟურნალისტი რეპორტაჟს ვაზუვის ამოფრქვევის შედეგად გადამწვარი პომპეიდან, როგორც „ქრონიკის“ ვასილ დაბრუნდაშვილს მიჰყავდა, ზღვის ღელვისგან დატბორილი ბათუმის ქუჩებიდან...**

**● თომა კუროსავა — აკირა ჩაგელიშვილი.**

**● სტოლტენბერგი ჩამოვიდა.**

**მალე ალბათ მექიაურიც გამოვა შვებულებიდან და...**

**ბედნიერებისთვის სხვა რა უნდა კაცს?**




**● რა კარგია, რომ უკვე აღიზარდა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ექსპერტების ახალი თაობა!**

**მე, მაგალითად, უსაფრთხოების და მადლიერების განცდა მეუფლება, როდესაც დავუფიქრდები, რომ „ბიძინა რომ არა“ ლარის კურსი ალბათ 4,0-ს გადააჭარბებდა.**

**● ცუდად ნუ გამიგებთ, მაგრამ აქ თურქების ბოდიალს რუსები მირჩევნია. კარგი ბავშვები გამოდიოდა შერეულ ქორწინებაში.**

**● „ალი და ნინო“ კი არა, დიდი დავითი „ბელუქსის“ დარაჯად დავაყენეთ მაგრამ, შევეგუეთ...**

**● ზღვა რომ ზღვაა ისიც ბლატნოი გვაქვს..... შავია!**

**● აბააა, მიშას, რ-2-სა და რუსეთის მოყვარულებო, შემოჰკარით დაფდაფებს, ყარამანაშვილები მხოლოდ 31%-ს ფლობენ, საკონტროლო პაკეტი „ტელეკომპანია საქართველოს“ ეკუთვნისო!!! ისა და... „ტელეკომპანია საქართველო“ ვის ეკუთვნის? ვისა დაა... ერთი ყარამანაშვილი 40%-ს ფლობს, მეორე — 60%-ს. ორივე ყარამანაშვილის მფლობელი კი ისაა, წვინტლები რომ ჩამოსდის.**

**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძემ**

# ინდოელი ინვესტორები სასტუმროების აშენებას გეგმავენ

**მსხვილი ინდური კომპანიები — Unique Mercantile India lf Apna Punjab Resorts საქართველოში ინვესტირებას გეგმავენ. პოტენციურ ინვესტორებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი შეხვდა.**

კომპანიების ხელმძღვანელები დაინტერესებულნი არიან თბილისში, წყალტუბოში, ბათუმსა და მესტიაში ოთხ და ხუთვარსკვლავიანი სასტუმროების ქსელის, პროფესიონალური გოლფის მოედნის მშენებლობა-ოპერირებით, ასევე ქუთაისის მეტალურგიული ქარხნის შეძენით.

პრემიერ-მინისტრი საქართველოში ინდური ინვესტიციის განხორციელებას მიესალმება და იმედოვნებს, რომ პროექტები წარმატებით განხორციელდება.

შეხვედრისას საუბარი ასევე შეეხო საქართველოში არსებულ ხელსაყრელ საინვესტიციო გარემოს და ქვეყნის მზარდ ტურისტულ პოტენციალს. მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ საქართველო, ბიზნესგარემოს კუთხით, მსოფლიოს გავლენიან რეიტინგებში მოწინავე პოზიციებზეა.

# პარლამენტი დღეიდან იწყებს მუშაობას

**1 სექტემბერს, პარლამენტის საშემოდგომო სესია გაიხსნება. საშემოდგომო სესია ბიუროს სხდომით იხსნება. 2 სექტემბერს კი, პლენარული სხდომის ჩატარება იგეგმება.**



ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რაც საშემოდგომო სესიის დასაწყისში მსჯელობის თემა იქნება „ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონპროექტზე პრეზიდენტის მიერ გამოყენებული ვეტო და მის მიერ პარლამენტისთვის შეთავაზებული ე.წ. მოტივირებული შენიშვნებია.

საშემოდგომო სესიაზე მსჯელობის საგანი იქნება პროკურატურის რეფორმირების მიმართულებით „პროკურატურის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებები და „საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალი კანონპროექტი.

# „მწვანე ტბა“ - არსენალის საგანძური

**ხულოს მუნიციპალიტეტში ზღვის დონიდან 2 200 მეტრ სიმაღლეზე, მწვანე ტბაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი მეთაურის ასლან აბაშიძის დროს ჩაძირული იარაღი აღმოაჩინეს.**

ტბაში დაახლოებით, 18 მეტრის სიღრმეზე ყუმბარმტყორცნები და საბრძოლო იარაღია შენახული.

ტბაზე ექსპედიცია ფლორისა და ფაუნის, ასევე ეკოლოგიური მდგომარეობის და ტურისტული პოტენციალის შესასწავლად ავიდა. როგორც მყვინთავები ამბობენ, ყუმბარმტყორცნები შესაძლოა, კვლავ საბრძოლო მდგომარეობაში იყოს, რის გამოც მათ ნაპირზე გამოსატანად აუცილებელია გამნაღმველებთან ერთად მუშაობა.



# ქართული პოლიტიკური წუმპე აბსურდში გადავარდა

**ამის შესახებ რეჟისორმა გოგა ხაინდრავამ განაცხადა, რომელიც ტელეკომპანია „იმედში“ ორი გადაცემის დახურვის ფაქტზე, „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენლის შალვა შავგულიძის განცხადებას გამოეხმაურა.**



„ჩემთვის გაუგებარი ამბები ხდება. ისიც კი გავიგე, რომ პრესის თავისუფლება თურმე 2007 წელს უფრო მაღალი იყო, ვიდრე დღეს. ქართული პოლიტიკური წუმპე აბსურდში გადავარდა. სამწუხაროდ, ამ წუმპეში ისეთმა ადამიანებმა ამოყვეს თავი, რომლებსაც დიდ პატივს ვცემდი და ჩემი ცხოვრების ნაწილად მიმაჩნდა და ყოველთვის ასე იქნება. მაგალითად შალვა შავგულიძე, მისგან იმის მოსმენა, რომ თურმე სააკაშვილის დროს, 2007 წელს პრესის თავისუფლება უფრო მეტი იყო, ვიდრე დღეს, ეს სრული აბსურდია. ეს არის მარაზმი, რომელშიც საერთოდ ქართულმა პოლიტიკურმა ისტებლიშმენტმა ამოყო თავი. თუ სხვა არანაირი არგუმენტი არ გაქვს, ინგა გრიგოლიასთვის ასეთი წიოკის ატეხვა ქვეყანაში, სამარცხვინოა, რადგან ინგა გრიგოლიას გადაცემა იყო სამარცხვინო. ასეთი ტიპის პრესა, როგორსაც გრიგოლია წარმოადგენდა, იყო დიდი მუხრუჭი და ძალიან დიდი ქვა, რომელიც ფსკერზე ექაჩებოდა საქართველოს. ექაჩებოდა წარსულში, ფურთხებაში, გინებაში, არაკომპეტენტურობაში, პოლიტიკურ ანგაჟირებაში, ფინანსურ ანგაჟირებაში და ასე შემდეგ. თუ ამის ანაბარა არის დარჩენილი საქართველო, მე ძალიან მეცოდება ასეთი ქვეყანა. თუ 2007 წელს ვადარებთ დღევანდელ მდგომარეობას, ვფიქრობ, აქ კითხვის ნიშნები აღარ არსებობს. ეს კლინიკური მდგომარეობაა უკვე და ამას მკურნალობა სჭირდება“, — განაცხადა ხაინდრავამ.

მისი თქმით, რაც შეეხება „იმედის“ გადაწყვეტილებას, „იმედი“ არის კერძო კომპანია. „სხვა კერძო კომპანიებიც ვიცით ჩვენ და მათ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში, რომელიც სიცრუეზე, ცილისწამებაზე და ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებაზეა აგებული, მე დიდი საპროტესტო გამოსვლები და მოსაზრებები არ გამიგია, იმ სიძვის სახლს ვგულისხმობ, რასაც „რუსთავი-2“ ჰქვია. სამარცხვინო მდგომარეობაში ვართ. რას წარმოადგენს ინგა გრიგოლია, რომ მის გამო ამხელა ვნებათაღელვა იყოს ქვეყანაში. უარესი უბედურებები მომხდარა და ასეთი ისტერიკა არ მოჰყოლია. ვისაც უნდა, ამაში მონაწილეობა მიიღოს, ეს მათი ნებაა და მათი არჩევანი. დრო მოვა და თავის ამომრჩევლებს და შვილებს უნდა გასცენ პასუხი ამაზე, როდესაც ეს კითხვები დაისმება და ეს დრო დადგება (სულ ამ წუმპეში და ჭაობში ხომ არ ვიქნებით), დღევანდელი განცხადებები უკვალოდ არ გაქრება. ეს პოზიციები დარჩება. მოვა დრო და მოეკითხებათ ამომრჩევლისგან და ჯანმრთელი ახალგაზრდა პოლიტიკოსებისგან, რომლებიც მოვლენ. სულ გუშინწინდელები ხომ არ იქნებიან“, — განაცხადა გოგა ხაინდრავამ.

ინგა გრიგოლია გადაცემების დახურვის გადაწყვეტილებას პოლიტიკურ გადაწყვეტილებას უწოდებს. იგი აცხადებს, 29 აგვისტოს გადაცემები ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე დახურეს.

## ⦿ ინფორმაცია

# მერაბიშვილი, ახალაია და უგულავა საპატიმროში რაიმე პრივილეგიით არ სარგებლობენ

**ამის შესახებ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი კახა კახიშვილი გაზეთ „ასავალ-დასავალთან“ ინტერვიუში აცხადებს.**

**მისივე მტკიცებით, ციხეებში VIP-პატიმრები არ ჰყავთ და არც ეყოლებათ.**



„დასახელებულ პატიმრებს, ბუნებრივია, თავიანი უფლებები აქვთ, რომლებიც აუცილებლად დაცული იქნება, მაგრამ ამავე დროს დაცული იქნება სასჯელაღსრულების დაწესებულების სარეჟიმო პირობებიც და ისინი პრივილეგირებულ მდგომარეობა ვერანაირად ვერ აღმოჩნდებიან!

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ჩვენ ციხეებში არ გვყავს და არც გვეყოლება VIP-პატიმრები, არც ქურდული სამყაროდან და არც — პოლიტიკური წრეებიდან.

მერაბიშვილი, ახალაია და უგულავა საპატიმროში რაიმე პრივილეგიით არ სარგებლობენ და ვერც ისარგებლებენ. მათ აქვთ და ექნებათ ყველაფერი, რაც კანონით ეკუთვნით, მაგრამ არა აქვთ და არ ექნებათ არაფერი, რაც კანონით არ ეკუთვნით“, — აცხადებს კახა კახიშვილი.

საპატიმროში ტელევიზორის ქონა ნებადართულია და ის წარმოადგენს წახალისების ფორმას იმ მსჯავრდებულებისთვის, რომლებიც კარგად იქცევიან.

კომპიუტერის ქონა პატიმრისთვის ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი საკუთარ სისხლის სამართლის საქმის მასალებს ეცნობა, მაგრამ არც ერთ დაწესებულებაში არც ერთ მსჯავრდებულს ინტერნეტით სარგებლობის უფლება და საშუალება არა აქვს.

ისინი (მერაბიშვილი, ახალაია, უგულავა), როგორც ყველა მსჯავრდებული, ჩვეულებრივ პირობებში იმყოფებიან. ჯერჯერობით არც ერთ დაწესებულებაში პირადად არ ვყოფილვარ, მაგრამ ყოველდღიური ურთიერთობა მაქვს ციხეების დირექტორებთან და აბსოლუტურად ყველა პატიმართან დაკავშირებით ინფორმაციას ვიღებ“, — განმარტავს მინისტრი.

მსოფლიოს ეკონომიკური ლანდშაფტი



# კრიზისის საფრთხეები და საქართველო

**საველუტო კრიზისები, საბერძნეთის ფინანსური პრობლემები, ნავთობზე ფასების რეკორდული კლება და ჩინეთში საფონდო ბირჟის დაცემა — ეს ის ფაქტორებია, რამაც მსოფლიო ქვეყნების უმრავლესობაში ეკონომიკური ზრდა შეანელა.**

**შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ბოლო პერიოდში ხშირად ისმის კითხვა — განმეორდება თუ არა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი?**

ქართველი და უცხოელი ანალიტიკოსების ნაწილი, ჯერჯერობით ამის საფრთხეს ვერ ხედავს.

მსოფლიო ეკონომიკური ლანდშაფტის მნიშვნელოვანი ცვლილება ჯერ კიდევ გასულ წელს დაიწყო. სერიოზულად დაზარალდა რუსეთის ეკონომიკა. რუბლი გაუფასურდა, რაც, ერთი მხრივ, ნავთობის ფასის შემცირებამ, მეორე მხრივ კი, დასავლეთის ეკონომიკურმა სანქციებმა განაპირობა. მოგვიანებით, ეკონომიკური მოვლენების ეპიცენტრმა საბერძნეთში გადაინაცვლა. საერთაშორისო კრედიტორებთან უთანხმოების გამო ქვეყანა ფულის გარეშე რჩებოდა და ევროზონიდან გასვლა ემუქრებოდა. თუმცა, საბოლოოდ, ათენმა დეფოლტი აიცილა თავიდან.

პარალელურად, ზაფხულის განმავლობაში რუსული რუბლის კიდევ უფრო გაუფასურება პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეროვნული ვალუტების გაუფასურების ერთ-ერთი მიზეზი გახდა. გასულ კვირას რეკორდულად დაეცა ყაზახური ტენგეს ღირებულებაც. მხოლოდ ერთი საათის განმავლობაში ტენგე დოლართან მიმართებაში 22 პროცენტით გაუფასურდა. 2014 წლის იანვრიდან დღემდე კი მისი ფასი დოლართან მიმართებაში დაახლოებით 40 პროცენტით დაეცა.

ამის პარალელურად, გაუფასურდა მსოფლიოში სიდიდით მეორე ყველაზე ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნის — ჩინეთის ეროვნული ვალუტა — იუანიც. ბოლო რამდენიმე კვირის მანძილზე ასევე მკვეთრად დაეცა ჩინეთის საფონდო ბირჟაც. მთავრობამ გარკვეული პრევენციული ზომები მიიღო და ინვესტორების შენარჩუნება და გლობალურ ბაზარზე ნდობის დაბრუნება სცადა. შედეგად ვითარება ბოლო რამდენიმე დღეა, ჩინეთის საფონდო ბირჟაზე გამოსწორდა. თუმცა, საფრთხეები კვლავ არსებობს.

საკმარისია თუ არა ეს ფაქტორები იმისათვის, რომ მსოფლიო კიდევ ერთი ეკონომიკური კრიზისის წინაშე დადგეს? ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ვატო ლეჟავა მიიჩნევს, რომ რეგიონული კრიზისების გლობალურად გარდაქმნა ამ ეტაპზე ნაკლებად სავარაუდოა.

**„როდესაც რეგიონის ცენტრალური ქვეყანა განიცდის გარკვეულ პრობლემებს, ეს იმ ქვეყნებზეც აისახება, რომელთანაც მას მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა აქვს. თუმცა, მე არ ვვარაუდობ, რომ რეგიონალური კრიზისები გლობალურ კრიზისად გადაიქცეს. პირველ რიგში, იმის გამო, რომ აშშ-ის ეკონომიკა საკმაოდ კარგად იზრდება. პრობლემები იყო საფონდო ბირჟებზე, მაგრამ ის საფუძველი, რაც აქვს ახლა აშშ-ის ეკონომიკას, არ გვაძლევს შესაძლებლობას ვივარაუდოთ, რომ იგი კრიზისის მაპროვოცირებელი შეიძლება გახდეს“,** — ამბობს ვატო ლეჟავა.

აშშ-ის ეკონომიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს გლობალურ ეკონომიკაში. 2008 წლის კრიზისი სწორედ აშშ-ში დაწყებულმა ეკონომიკურმა პრობლემებმა გამოიწვია. ამიტომაც ვატო ლეჟავა მიიჩნევს, რომ თუკი რაიმე გლობალური უნდა მოხდეს, ამის სათავე ყოველთვის იყო და რჩება აშშ.

უცხოელ ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ აშშ-ის გადაწყვეტილებამ, გაემკაცრებინა მონეტარული პოლიტიკა უკვე შექმნა იმის საფუძველი, რომ გლობალურ დონეზე სერიოზული ფინანსური კრიზისი დაიწყოს.

**„საპროცენტო განაკვეთების გაზრდამ შესაძლოა, ამერიკული აქციების შემცირება გამოიწვიოს, რასაც მთელ მსოფლიოში აქტივების გაყიდვა მოჰყვება, ეს თავის მხრივ შესაძლოა, ახალი მსოფლიო ფინანსური კრიზისით დასრულდეს“,** — პროგნოზირებს ჩინეთის სახალხო ბანკის ფინანსური კვლევების ინსტიტუტის ხელმძღვანელი იაო იუიდუნი.

რომელ ქვეყნებზე შეიძლება აისახოს ჩინეთში და ზოგადად მსოფლიოში შექმნილი ეკონომიკური ვითარება? ამის პროგნოზირება ექსპერტებს უჭირთ. ეს მომავალში განვითარებულ მოვლენებზე იქნება დამოკიდებული.

რაც შეეხება საქართველოს, ექსპერტ სოსო არჩვაძის თქმით, სხვა სახელმწიფოების ეკონომიკური პრობლემები ძირითადად ფინანსური ტრანზაქციების შემცირების სახით უკვე აისახა ქვეყანაზე:

**„თუ წინა წლებში დაახლოებით 800 მილიონი დოლარი შემოდიოდა რუსეთის ფედერაციიდან ყოველწლიურად, ახლა ფინანსური ტრანზაქციების ეს წყარო მნიშვნელოვნადაა შეზღუდული. საბერძნეთიდანაც შეზღუდულია თანხების გადმორიცხვა. ეს უარყოფითად აისახება საქართველოს ეკონომიკაზე“.**

ექსპერტი ვატო ლეჟავა კი მიიჩნევს, რომ, პირველ რიგში, ადგილობრივ დონეზე უნდა მოხდეს ვითარების გამოსწორება, რათა გარე ფაქტორების ზეგავლენა თავიდან იქნეს აცილებული:

**„საქართველოში, სამწუხაროდ, მოხდა ის, რომ გლობალურ მოვლენებს მორღვეული და დასუსტებული მაკროეკონომიკური მდგომარეობა დაემატა. ამ ტენდენციებს ჩვენ კი არ შევეწინააღმდეგეთ, პირიქით. თუ ვალუტა სუსტდება, ის ხელს უწყობს ექსპორტს. ჩვენთან ისე მოხდა, რომ ვალუტა შესუსტდა და ექსპორტიც 25 პროცენტით შემცირდა. ამან კიდევ უფრო მეტი ნეგატიური გავლენა მოახდინა, ვიდრე ეს შეიძლებოდა უფრო ჯანსაღ ეკონომიკურ ვითარებაში ყოფილიყო“.**

მისივე თქმით, თუ მომავალში ეს ფაქტორები არ შეიცვალა, ცხადია ყველა ასეთი შიდა და გარე ფაქტორი ძალიან მტკივნეულად აისახება მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

**თამთა ჯიჯავაძე**

SIC!

# პური არ გაძვირდება!

**ბოლო თვეების განმავლობაში დოლართან შედარებით თითქმის ყველა ქვეყნის ვალუტა გაუფასურდა, თუმცა, რუსული რუბლი მთლად გაფარჩაკდა.**

**რუსი ანალიტიკოსები შეშფოთებით ადევნებენ თვალს თავიანთი ვალუტის გაუფასურებას და ყველაფერს დასავლეთის სანქციებით და ნავთობის ფასისვარდნით ხსნიან, ბიზნესი კი, ვალუტის ცვალებადობის გამო სერიოზულ წნეხს განიცდის. სწორედ ამიტომ ხორბლის მწარმოებლებმა რუსეთში გადაწყვიტეს, რომ პროდუქციის ექსპორტი დროებით შეწყვიტონ. ამ დღეებში უკვე გაცხადდა, რომ ახალი კონტრაქტების გაფორმება რუბლის კურსის სტაბილიზაციამდე უნდა შეჩერდეს. როგორ იმოქმედებს ეს ქართულ ბაზარზე? ხომ არ უნდა ველოდეთ ახლო მომავალში ფქვილის, ან პურის გაძვირებას? — ამ შეკითხვებს საქართველოს მეხორბლეთა ასოციაციის ხელმძღვანელი ლევან სილაგავა უპასუხებს.**

— რუსულ ხორბალს ქართული ბაზრისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან რუსეთი ამ სფეროში ჩვენი ძირითადი პარტნიორია: ბოლო სამი წლის განმავლობაში ხორბლის 90 პროცენტი სწორედ რუსეთიდან შემოგვქონდა, ეს იმიტომ, რომ რუსულ ხორბალს კარგი ფასი ჰქონდა. დღესაც ასეა, უბრალოდ, რუსი მეწარმეები თავიანთ პროდუქციას დროებით არ ჰყიდიან.

**რუსეთმა ხორბლის ექსპორტი შეწყვიტა – როგორ აისახება ეს საქართველოზე**

**— რატომ გახდა საჭირო ასეთი რადიკალური ნაბიჯის გადადგმა?**

— საქმე ის არის, რომ რუსეთს ხორბალზე ე.წ. მცურავი ბაჟი აქვს დაწესებული, რაც ნიშნავს, რომ ხორბლის ფასი დოლარის კურსით მიბმულია რუსული რუბლის კურსზე და რადგანაც რუბლის კურსი ბოლო ხანებში მკვეთრად გაუფასურდა, ექსპორტიორებს ხორბალზე ბაჟი გაეზარდათ. აქედან გამომდინარე, რუსული ხორბალი გაძვირდა. ამავე დროს, რუსეთში წელს ხორბლის უხვი მოსავალი მიიღეს და ამ მოსავლის რეალიზაცია სჭირდებათ. რუსეთში საექსპორტო გადასახადის შემდეგი სქემა მოქმედებს: გამყიდველი ხორბლის დეკლარირებას ახდენს, მაგრამ საბაჟო გადასახადს ითვლიან მაშინ, როცა გემი უკვე დატვირთულია. ამას კი 3-4 დღე მაინც სჭირდება. შესაბამისად, თუ მე დღეს დეკლარირებას ვაკეთებ და დოლარი ღირს 70 რუბლი, ხვალ შეიძლება იყოს 75, ან სულაც — 80. ამიტომ, ბიზნესისთვის ეს სერიოზულ სირთულეს წარმოადგენს. კონტრაქტი დეკლარირების დროს იწერება, მაგრამ მხარეებმა არ იციან, სამიოთხი დღის შემდეგ ვალუტის კურსი როგორი იქნება. აქედან გამომდინარე, გამყიდველი მყიდველს ზუსტ ფასს ვერ ეუბნება. სწორედ ამიტომ, ექპორტიორებმა გადაწყვიტეს, შეაჩერონ ექსპორტი, ვიდრე რუბლის კურსი არ დარეგულირდება და ვიდრე ქვეყანაში სტაბილური კურსი არ ჩამოყალიბდება.

**— ხომ არ იმოქმედებს ეს ხორბლის მსოფლიო ფასზე?**

— თუ რუსეთის კონკურენტებმა — საფრანგეთმა, უკრაინამ და სხვებმა მსოფლიო ბაზარს უკეთესი ფასი შესთავაზეს, თავისთავად ცხადია, რომ რუსული ხორბალი კონკურენციას ვერ გაუძლებს. ამიტომ, ან ბაჟი უნდა შეცვალონ, ან რაღაც უნდა იღონონ, რომ მსოფლიო ბაზარზე პოზიციები არ დაკარგონ. ეს უკვე რუსეთის მთავრობის გადასაწყვეტი თემაა. ამ სიტუაციაში დადებითი ფაქტორია ის, რომ რუსეთს წელს ხორბლის ძალიან კარგი მოსავალი აქვს, რომელიც უნდა გაიყიდოს. თანაც, სეზონი რუსეთში ახალი დაწყებულია და ექსპორტზე ჯერჯერობით გატანილი აქვთ სულ რაღაც, 3,5-4 მილიონი ტონა ხორბალი, სპეციალისტების პროგნოზით, კიდევ გასატანია 18-20 მილიონი ტონა. ამ რაოდენობის ხორბალს ვერც შეინახავენ, ამიტომ მოსავალი უნდა გაყიდონ, სხვა გამოსავალი არა აქვთ. ასე რომ, არა მგონია რუსული ხორბლის ექსპორტის დროებითმა შეწყვეტამ ამ ბაზარზე მნიშვნელოვანი რყევები გამოიწვიოს.

**— როგორ იმოქმედებს ეს გადაწყვეტილება რუსული ხორბლის ფასზე, საქართველოს გაძვირებული ხორბლის შეძენა ხომ არ მოუწევს?**

— რაც შეეხება საქართველოს, ჩვენ ორი თვის მარაგი უკვე გვაქვს, მაგრამ თუ დავინახავთ, რომ რუსული ხორბლის ფასი იმ დონეს მიაღწევს, რა ფასადაც პროდუქტი შეიძლება სხვა ბაზრებიდან წამოვიღოთ, მაშინ ხორბლის სხვა ქვეყნებიდან შემოტანა მოგვიწევს, ასეთი ქვეყნებია, მაგალითად, უკრაინა, საფრანგეთი, რუმინეთი, ევროპისა და შავიზღვისპირეთის სხვა სახელმწიფოები... ასე რომ, რუსული ხორბლის გაძვირება მნიშვნელოვან პრობლემებს ვერ შეგვიქმნის. არ იქნება რუსეთი? — იქნება უკრაინა, რუმინეთი, არ არის გამორიცხული ხორბალი საფრანგეთიდან, ან უნგრეთიდანაც წამოვიღოთ. ბევრი სქემა არსებობს, თუმცა, იმის იმედიც გვაქვს, რომ რუბლი უახლოეს მომავალში სტაბილური გახდება. თუ ფასი, რომელსაც რუსეთი შემოგვთავაზებს, ჩვენთვის მისაღები და ხელსაყრელი იქნება, პროდუქციას მათგან შევისყიდით, თუ არადა, სხვა ბაზრებიდან წამოვიღებთ. ამ ეტაპზე კი, რუსული კომპანიები, რომლებიც ხორბალს ყიდიან, ფრთხილობენ, რადგან არ იციან, როგორი იქნება საბაჟო გადასახადი არასტაბილური რუბლის პირობებში. ეს წმინდა ტექნიკური პრობლემაა, სხვა პრობლემა არ არსებობს. როგორც კი ჩამოყალიბდება რუბლის კურსი, თავისთავად ყველაფერი დალაგდება.

**— ბატონო ლევან, გაიზრდება თუ არა საქართველოში ფქვილის, ან ხორბლის ფასი?**

— ჩემი შეფასებით, ამ ეტაპზე არც ფქვილის ფასს ემუქრება რაიმე და არც პურზე გვექნება პრობლემა. დღესდღეობით ჩვენთვის მთავარ პრობლემას ლარისა და დოლარის შეფარდება უფრო წარმოადგენს. ჩვენ ხორბალს დოლარზე ვყიდულობთ, გადამამუშავებლებს კი, ლარში ვაწვდით, შემდეგ კვლავ დოლარი უნდა ვიყიდოთ, რომ ხორბლის ახალი პარტიები შევიძინოთ, თუმცა, მე ვფიქრობ, რომ ლარის კურსიც ნელ-ნელა სტაბილური გახდება, რაც სერიოზულ შეღავათს მოგვცემს, როდესაც კურსი ყოველდღიურად იცვლება, ეს დიდ სირთულეებს გვიქმნის.

ესაუბრა

**ხათუნა ჩიგოგიძე**

დედაქალაქი

## ვინ გახდება თბილისის საპატიო მოქალაქე?

**თბილისის საკრებულოში განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომა გაიმართა. დეპუტატებმა სხდომაზე საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებზე იმსჯელეს, რომლებიც საქართველოს სახალხო მწერალ რევაზ მიშველაძისთვის და საქართველოს სახალხო არტისტ ჯუმბერ ბერაძისათვის თბილისის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭებას ეხება. კომისიის წევრებმა თბილისის მერიის ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის №19 ხელოვნების სკოლის დირექტორის, ღირსების ორდენის კავალერის თამაზ მოლაშვილისთვის „თბილისზე მზრუნველის“ სტატუსის მინიჭების საკითხიც განიხილეს.**

**კომისიის სხდომას ესწრებოდნენ და განხილვაში მონაწილეობდნენ განათლებისა და კულტურის კომისიასთან არსებული სათათბიროს წევრები, რომლებმაც ყველა წარმოდგენილ კანდიდატს მხარი დაუჭირეს.**

◉ გრაკლიანის გორის საიდუმლოს კვალდაკვალ



# ამ აღმოჩენამ შეიძლება შეარყიოს თეზა, რომ მწიგნობრობის განვითარება საქართველოში ქრისტიანობის მიღებით იწყება

***რა საიდუმლოს ინახავს გრაკლიანის გორა, ის აღმოჩენილი წარწერები, რომელმაც შეიძლება ქართული დამწერლობის ისტორია შეცვალოს; ხომ არ არის ასეთ ფაქიზ საკითხებში ძალუმად წარმოჩენილი ქართული ემოციური ხასიათი; იქნებ ნაადრევია სიხარული და მოლოდინი იმისა, რომ გრაკლიანის გორის წარწერები, რომელიც სავარაუდოდ 2700 წლის ისტორიას ითვლის, მსოფლიო დამწერლობის ისტორიასაც თავდაყირა დააყენებს? ამ ლეგიტიმურად გაჩენილ კითხვებს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ავთანდილ არაბული უპასუხებს:***

— მეცნიერები დიდ სიფრთხილეს იჩენენ ამ საკითხთან დაკავშირებით. იაფფასიანი სენსაცია რომ არ გამოვიდეს, წინასწარ დასკვნის გაკეთება ძნელია, ვიდრე წარწერები ბოლომდე არ გაიშიფრება და არ შეფასდება. იმ ფრაგმენტების მიხედვით, რაც დავინახეთ, თავისთავად, ეს აღმოჩენა მნიშვნელოვანია.

ნაჩვენებ სურათზე თითქოს ოთხიოდე ასოს მოხაზულობა ჩანს. პირველი ერთგვარად წააგავს ქართულ ასომთავრულ „ბანს“, ხოლო ბოლო ასო — ქართულ „ხანს“. გრაკლიანის გორა კულტურულ კომპლექსს წარმოადგენს, რომელიც ცხოვრების მაღალ განვითარებულ დონეზე, ცივილიზაციაზე მიანიშნებს. თარიღად დასახელებულია ძვ. წ. აღ.-ით VII საუკუნე; ცხადია, არა ამ წარწერის მიხედვით, არამედ იმ არქეოლოგიური ფენის მიხედვით, რომელსაც თხრიან. ვინაიდან ბატონი ვახტანგ ლიჩელი, რომელიც გამოცდილი მეცნიერი და არქეოლოგია, ამ თარიღს ასახელებს, ე. ი. მას ამის თქმის საფუძველი აქვს. თუკი აღმოჩნდება, რომ ამ დროისთვის, ასე ვთქვათ, „უცნობი დამწერლობა“ კასპის ტერიტორიაზე, საქართველოს ამ ზოლში გამოიყენებოდა, ეს ნიშნავს, რომ არა მხოლოდ ცენტრში, არამედ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყოფილა მაღალგანვითარებული საზოგადოება...

**— ცენტრში რას გულისხმობთ?**

— მოგეხსენებათ, ასეთი აზრი შექმნა „არმაზის ბილინგვის“ აღმოჩენამ, ამ სტილის ბერძნული და არმაზულ-არამეული წარწერები მიგვითითებენ, რომ მაშინდელ სახელმწიფოებრივ ცენტრში ინფორმაციის შესანახად და გადასაცემად გამოიყენებოდა სხვა ენის დამწერლობა — ბერძნული თუ არამეული. ანუ: თუ ჯერ არ არსებობს ორიგინალური დამწერლობა და მოსახლეობა სხვა დამწერლობას იყენებს, ეს ნიშნავს, რომ არსებობს იმის მოთხოვნილება, რომ გაჩნდეს დამწერლობა. თუნდაც დავუშვათ, რომ კასპის რეგიონშიც ასეთივე „უცხო“ წარწერა აღმოჩნდა, ე. ი. ჩვ. წ. აღ-მდე VII საუკუნეში არა მხოლოდ ცენტრში, არამედ უფრო ვრცელ ტერიტორიაზე არსებულა მაღალგანვითარებული საზოგადოება, რომელიც იმ დროისათვის, როცა ანბანური დამწერლობა იმკვიდრებს ადგილს, უკვე იყენებს ასეთ დამწერლობას. ეს ნამდვილად შეცვლის საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის, ქართველთა წინაპრების ამ პერიოდის ისტორიას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანი იყო მცხეთაში, არმაზში აღმოჩენილი ბევრად გვიანდელი „უცხო“ წარწერები, ასევე გვაქვს ჯერჯერობით ბოლომდე შეუფასებელი წელთაღრიცხვათა მიჯნის საყურადღებო წარმართული კულტურის ნაშთები და თავისებური ასომთავრული წარწერები ნეკრესში. ე. ი. მთელი 200 კილომეტრის სივრცის კავკასიონის მთისწინეთში არის კულტურული ფენები, რომელიც აღმოჩენილ სასახლეებთან, ტაძრებთან, წყალგაყვანილობისა და საკანალიზაციო სისტემებთან ერთად წარსულის მკვლევარებს სთავაზობს დამწერლობის ნიშნებსაც. ეს თავისთავად მრავლისმეტყველია. ეს ამტკიცებს და ამყარებს ვარაუდებს, რომ ქართულ დამწერლობას, მწიგნობრობას ჰქონდა სერიოზული საფუძველი. და განსაკუთრებით მათ მოსაზრებას გაამაგრებს, ვინც ვარაუდობდა, რომ ქართული ასომთავრული დამწერლობა უფრო ადრინდელია, ვიდრე ქრისტიანობის დასაწყისი.



**— თქვენი ვარაუდით, არის თუ არა გრაკლიანის წარწერა ქართული?**

— ჯერ არ ვიცით... ფინიკურიდან მომდინარეობს ანბანური დამწერლობის სემიტური შტოც და ბერძნულიც. ქართული დამწერლობის გენეზისი ამ საწყისებს უკავშირდება. იმ მოხაზულობისა და სტილის მიხედვით, რაც იქ ჩანს, ეს უფრო ჰგავს ქართულ-ალბანურ დამწერლობათა სტილს, ვიდრე სემიტური რიგისას. მოგეხსენებათ, ჩვენი დამწერლობა არის მრგვლოვანი, ძირითადი ელემენტებია წრე ან წრის ნაწილები, ხოლო სემიტურის სისტემაში დომინანტია ხაზი. ამიტომაც ვამბობ, რომ გრაფიკული აგებულების თვალსაზრისით ქართული დამწერლობა სრულიად ორიგინალური და უნიკალურია მთელ მსოფლიოში, ის გეომეტრიული სრულყოფილების ნიმუშია. ის სტილური ნიშნები, რომელიც გრაკლიანის წარწერებშია, უფრო ჩვენს დამწერლობას ჰგავს, ვიდრე არამეულს. ამას ზოგად შთაბეჭდილებად ვამბობ, რადგან ამ ნიშნების შესწავლამდე გადაწყვეტით ძნელია რამის თქმა. ასევე ჯერ არ გვინახავს მეორე წარწერა, რომელიც ასევე დასახელდა. ანუ ყოველივე საიდუმლოდ დარჩება მანამ, სანამ გრაკლიანის სამუშაოები განახლდება...

კიდევ ერთხელ ვიტყვი: **ეს ყველაფერი ჯერ მხოლოდ ვარაუდებია და რეალური დასკვნების მიღებამდე საფუძვლიანი კვლევებია ჩასატარებელი...**




**— კონკრეტულად, რა შეიცვლება მსოფლიო დამწერლობის ისტორიაში, თუ დადასტურდება მეცნიერების ვარაუდები გრაკლიანის წარწერების შესახებ?**

— თუ სამხრეთ კავკასიის საკმაოდ ჩრდილოეთ მხარეში აღმოჩნდება ასეთი ძველი ცივილიზაციის ნიშნები, რა თქმა უნდა, ეს შეცვლის მსოფლიო ისტორიასაც. ვინაიდან, აქამდე მაინც იმ თეორიის გავლენის სფეროში ვიყავით, რომ კავკასიის მოსახლეობა მიგრირებულია სამხრეთიდან და აქ კულტურული ფენები შედარებით გვიან ვითარდება. **ამ აღმოჩენამ შეიძლება შეარყიოს თეზა, რომ მწიგნობრობის განვითარება საქართველოში ქრისტიანობის მიღებით იწყება** და ბევრად უფრო დააძველებს საქართველოში მწიგნობრობის დასაწყისის საფუძვლებს. ბუნებრივია, ისტორიისთვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. დამწერლობა ხომ კაცობრიობის განვითარების სრულიად ახალი ეტაპია, ცივილიზაციის დასაწყისი დამწერლობის განვითარებაა. თავად დამწერლობის განვითარების ასევე მნიშვნელოვანი ეტაპი კი — ანბანური დამწერლობის განვითარება.

**— ხომ არ შეიცვლება თეზა ფარნავაზის წვლილის შესახებ ქართული დამწერლობის განვითარებაში? „შენ, ჰე, ფარნავაზ, ჰქმენ ერთმთავრობა, შენ მოეც ქართველს წიგნი პირველი“?**

— არა, არ იცვლება. პირიქით, თუ მეცნიერთა ვარაუდი დადასტურდა, ლეონტი მროველის ისტორიული ცნობა ფარნავაზის შესახებ უფრო მეტად განმტკიცდება. მაგალითად, რამაზ პატარიძე ვარაუდობს, რომ მეფე ფარნავაზი შემქნელი კი არ იყო დამწერლობისა, არამედ რეფორმატორი. მართლაც, თუ აღმოჩნდება, რომ ეს წარწერა არის ასომთავრული დამწერლობის წინა სახე ან წინამორბედი, მაშინ გამოვა, რომ ქართული დამწერლობის ჩანასახები უფრო დიდი ხნით ადრე არსებობდა, ვიდრე ქრისტიანული დამწერლობა. ფარნავაზმა შეძლო სახელმწიფოებრიობის ორგანიზება და ენის რეფორმა გაატარა, ანუ „განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა, თვინიერ ქართულისა“. სავარაუდოდ, სწორედ ამას გულისხმობს ეს აზრი...

**— ღმერთმა ქნას, რომ დადასტურდეს ეს ვარაუდები...**

— სხვათა შორის, ერთგვარად ველოდებოდი, რომ რაღაც ახალი აღმოჩენის მომსწრე გავხდებოდით. რატომ? მოვლენებს შორის არსებობს ერთგვარი მეტაფიზიკური კავშირი. მაგალითად, უნივერსიტეტის დაარსებას მოჰყვა უმნიშვნელოვანესი მეცნიერული აღმოჩენები და, მათ შორის, ხანმეტი ძეგლების გაშიფრვა; 1978 წლის ცნობილი გამოსვლით ეროვნული მოძრაობის ახალი აღმავლობა დაიწყო და, სწორედ 80-იანი წლების დასაწყისში მოხდა ნეკრესის წარწერებისა და დავათის სტელის აღმოჩენები; აი, ახლაც, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი სახელმწიფო ენის შესახებ. ამ ისტორიულმა მოვლენამ არცთუ დიდი გამოხმაურება ჰპოვა, მაგრამ ველოდებოდი, რომ ამ ფაქტს რაღაც მნიშვნელოვანი აღმოჩენა მოჰყვებოდა. საბედნიეროდ, ასეც მოხდა და ეს მხოლოდ დასაწყისია...

**ესაუბრა**
**თეა მოსია**

◉ პროფესიონალის ხედვა

# საგანი „მე და საზოგადოება“ სასწავლებელში არ უნდა ისწავლებოდეს!

**თანამედროვე რესპუბლიკურ პრესაში ქვეყნდება წერილები იმის შესახებ, რომ ჩვენს სასწავლებლებში ისწავლებოდეს თუ არა ახალი საგანი „მე და საზოგადოება“.** გაგაცნობთ ორივე პოზიციის წარმომადგენელთა მოსაზრებებს, რომლებიც სპეციალურ წერილებად დაიბეჭდა გაზეთ „ახალი თაობის“ აგვისტოს ნომრებში. მათგან ამ საგნის სწავლების მომხრეა ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე. საგნის სწავლების მოწინააღმდეგედ გამოდის „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ ხელმძღვანელი **ავთანდილ უნგიაძე.**

— ამ ახალი „მოძღვრებებით“ ბავშვებს ცნობიერებას აურევენ, ჩაუნერგავენ გარყვნილებისა და საკუთარი ოჯახისადმი გულგრილობის, სიძულვილის გრძნობას... ასე ბრძანებს ბატონი ავთანდილ უნგიაძე.

მე, როგორც პედაგოგიური მუშაობის 30-წლიანი სტაჟის მქონე პიროვნება, დამაინტერესა ამ საკითხმა და იმ დასკვნამდე მივედი, რომ ახალი, სპეციალური საგანი „მე და საზოგადოება“ სასწავლებლებში მართლაც არ უნდა ისწავლებოდეს. მიმაჩნია, რომ მის მაგიერ მიზანშეწონილი იქნება ჩამოვაყალიბოთ საგანი „ქცევის კულტურა“, სადაც თავს მოიყრის აუცილებელი ქცევა-თვისებანი, რომელთა გაცნობა და გააზრება აუცილებელია თითოეული ახალგაზრდისთვის.

ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში საშუალება მქონდა 7 წლის განმავლობაში, კერძო უმაღლეს სასწავლებელში — თბილისის დამოუკიდებელ სასწავლო უნივერსიტეტში სასწავლო პროგრამაში შემეტანა საგანი „ქცევის კულტურა“. დამხმარე სახელმძღვანელოდ ვიყენებდი ჩემს შრომას „ქცევის კულტურა“. პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ ამ ნაბიჯით ძალიან კმაყოფილი ვარ, ჩვენი კურსდამთავრებულები ინტერესით ესწრებოდნენ ამ საგნის ლექციებს და კმაყოფილებასაც გამოთქვამდნენ. სტუდენტთა გარკვეული ნაწილი ამ საგნის წაკითხვამდე ვერ ერკვეოდა მისალმების ტაქტიკაში, უფროს-უმცროსობაში, ქალებისადმი ყურადღების გამოჩენაში, ტრანსპორტში მოხუცისთვის ადგილის დათმობის აუცილებლობაში, საყოველთაო დღესასწაულების მილოცვასა და საჩუქრების გადაცემაში.

სტუდენტები სწავლობდნენ ისეთ ზნეობრივ ჭეშმარიტებას, როგორიცაა: „სამშობლოს ჭეშმარიტი სიყვარული“, „ზრდილობა — ყველა ასაკის სამკაულია“, „დედა-შვილური სიყვარული მძლეთამძლეა“, „ყოფა-ცხოვრების ესთეტიკა“, „სტუმარი ჩვენს ოჯახში და სტუმრად ყოფნა“, „უანგარო საჩუქარი“, „მავნე ჩვევები და მათთან ბრძოლა“.

ამ საგანში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა აგრეთვე მშობლიური ენის სიწმინდის, ქრისტეს ათი მცნების შესწავლასა და სხვა.

ერთი სიტყვით, საზოგადოებას მე ვთავაზობ ყველა სასწავლებელში ახალი სასწავლო საგნის „ქცევის კულტურის“ შეტანას და იმედი მაქვს, ყველა მხარს დამიჭერს.

**ამირან მექვაბიშვილი,**
**თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, თბილისის ტურიზმის აკადემიის საპატიო დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

## კლაუდიო მარგოტინი:

# „ვარძიის გამაგრების ეს მეთოდი საქართველოში პირველია“

**არქეოლოგიური გათხრების შედეგად, ვარძიაში ივლისის თვეში კიდევ ერთი ახალი უბანი გამოჩნდა. პირველ ეტაპზე ორი ახალი იარუსი და მასში არსებული 10 ქვაბული გამოვლინდა. ახალი აღმოჩენის შემდეგ კლდის გამაგრებითი სამუშაოები დაიწყო. დამონტაჟდა აპარატურა, რომელიც ძეგლზე სეისმურ დაკვირვებას ახორციელებს.** წინასწარ შერჩეულ, ყველაზე კრიტიკულ ადგილებში კლდის გამაგრების სამუშაოებს ქართველი სპეციალისტები იტალიელ და ინგლისელ კოლეგებთან ერთად ატარებენ. იუნესკოს მთავარი ექსპერტი, გეოლოგი კლაუდიო მარგოტინი განმარტავს, რომ კლდის გამაგრების აღნიშნული მეთოდი საქართველოში პირველია, ამიტომ ისინი ინტენსიურად დააკვირდებიან რამდენად გაამართლებს:

**„აქ, ვარძიაში, ბევრი პრობლემაა, რომლებიც კონსერვაციის საკითხებს უკავშირდება – როგორც მოხატულობის, ისე ქვების და ქვაბულების კონსერვაციას. ახლა სწორედ ამაზე ვმუშაობთ, ორი ჯგუფი, ბრიტანეთიდან და იტალიიდან, ქართველ ექსპერტებთან თანამშრომლობით. ჩვენს სამუშაოს რაც ეხება – ქვის კონსერვაციას – ამაზე უკვე რამდენიმე წელია, ვმუშაობთ. ვატარებთ ქვების კოლაფსის მონიტორინგს, მაღალტექნოლოგიური სისტემებით ვაკვირდებით კლდის განვითარებას. ახლა ვიწყებთ ვარძიის კლდის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილის გამაგრებას. ლითონის კონსტრუქციებით ვმუშაობთ – ისინი ბურღვით შეგვყავს ქვაში, რითიც ქვას ვამაგრებთ. ვაგებთ ლითონის ჩონჩხს, რომელიც ქვას კლდეში შენარჩუნების საშუალებას აძლევს. მუშაობას ვაგრძელებთ გვირაბში, რომელიც ვარძიის ზედა ნაწილს ქვედასთან აკავშირებს. თუმცა, მსგავსი ინტერვენცია ბევრ სხვა ადგილსაც სჭირდება. მაგრამ ამ გამოცდილების მიღების შემდეგ ქართველი კოლეგები და ექსპერტები დამოუკიდებლად შეძლებენ ამგვარი სამუშაოს გაგრძელებას“.**

* * *

**გამაგრების სამუშაოების პარალელურად, ვარძიაში კედლის მხატვრობის გადარჩენის პროგრამაც ხორციელდება. უძველესი მხატვრობის შენარჩუნების პროექტს ბრიტანული დონორი ორგანიზაცია „ჯექსონის ფონდი“ აფინანსებს.** ფონდის დამაარსებლის **პიტ ბრაუნის** თქმით, პროექტის ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიისა და ლონდონის უნივერსიტეტის სტუდენტები კედლის მხატვრობის შესრულების ტექნიკასა და არსებულ მდგომარეობას შეისწავლიან:

**„ამ პროექტს თავიდანვე ვაფინანსებთ და იმედი გვაქვს, მთავრობის მხარდაჭერით კვლავაც გავაგრძელებთ პროექტში მონაწილეობის მიღებას, სტუდენტებისთვის მაქსიმალური ცოდნის მიცემას, რათა შემდგომში ისინი საქართველოში დაბრუნდნენ, ასწავლონ და კონსერვაციის სამომავლო პროექტებს უხელმძღვანელონ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მთელ სპექტრში. ახლა აქ იმიტომ ვართ, რომ ვნახოთ, როგორ განვითარდა პროექტი ბოლო ოთხი წლის განმავლობაში. პროექტი წელს მთავრდება. კვლევის შედეგებს თავს მოუყრიან და დასკვნებიც აქედან იქნება გამოტანილი. მოკლედ რომ ვთქვათ, აქ ჩამოვედით დასარწმუნებლად, რომ ჩვენი ფული სწორად დაიხარჯა.“**

* * *

**ისტორიული ძეგლის რეაბილიტაციის პროექტი ახალ ეტაპზე გადავიდა. იმისათვის, რომ კომპლექსის ყველაზე კრიტიკული ადგილები არ ჩამოიშალოს, ექსპერტები გამაგრებით სამუშაოებს ატარებენ.** კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის ნიკოლოზ ანთიძის ინფორმაციით, მიმდინარე წელს მოეწყობა სველი წერტილებიც და, მხატვრობის კონსერვაციის პროექტის მიხედვით, უშუალოდ სამუშაოები დაიწყება.

**„ყველაზე მთავარი პრობლემა ვარძიას წყლის უწესრიგობა ჰქონდა, ვმუშაობთ ამ მიმართულებით. გარდა ამისა, ვარძია განსაკუთრებული ძეგლია და მუდმივად მეთვალყურეობას საჭიროებს“.**

ვარძიაში, კლდეში ნაკვეთი კომპლექსის გადარჩენის მიზნით, მუშაობა ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით მიდის. მხოლოდ წელს პროექტის განსახორციელებლად მილიონ 200 ათასი ლარია გამოყოფილი. წლევანდელი გეგმა კლდის კვლევა, გამაგრება-კონსერვაცია, ძეგლის არქეოლოგიური შესწავლა, კედლის მხატვრობის დიაგნოსტიკა და ტურისტული ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობაა. პროექტი ხუთწლიანია და 2018 წელს დასრულდება.

**მაია იველაშვილი,**
**რადიო „თავისუფლება“**



### მილოცვა

**პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი და ჯუმბერ გონაშვილი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავენ დაბადების 80 წლის საიუბილეო თარიღს საქართველოს ტექნიკური ინტელიგენციის გამოჩენილ წარმომადგენელს, ქართული ნავთობისა და გაზის საბადოების გეოლოგიური ძიების სამეცნიერო კვლევების ვეტერანს, მსუბუქი მრეწველობის ერთ-ერთი წამყვანი დარგის შესანიშნავ ყოფილ თავკაცს, 60-იანი წლების ესტრადის ბრწყინვალე ვარსკვლავს, თავისი ახლობლებისა და მეგობრებისთვის მუდამ საფიცარ პიროვნებას, ბატონ თამაზ ცინცაძეს.**

### ინფორმაცია

## შემოდგომიდან ე.წ. ჯენერიკ მედიკამენტებზე ფასები შემცირდება

**ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ზაზა სოფრომაძემ განაცხადა.**

**სამინისტროში „ჯენერიკ მედიკამენტებზე“ ფასების შემცირებასთან დაკავშირებით მუშაობა უკვე მიმდინარეობს.**

**„შემოდგომიდან ჩვენ ვფიქრობთ ჯენერიკ მედიკამენტებზე შეღავათების დაწესებას და ფასი ამ მედიკამენტებზე ნაკლები იქნება, თუმცა რა ფორმით მოხდება და რამდენით შემცირდება მედიკამენტებზე ფასი ამაზე საუბარი დღეს ნაადრევია. ამ პრობლემაზე მუშაობა მიმდინარეობს“, – განაცხადა ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ.**

**ინტერპრესი**

# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

**სს „ელმავალმშენებელი” 2015 წლის 01 სექტემბრიდან აცხადებს აუქციონს:**

| ლოტი № | მოდელი | გამოშვების წელი | ძრავის მოცულობა | ფერი | გარბენი, კმ | გადაცემათა კოლოფი | საწყისი სააუქციონო ღირებულება, აშშ დოლარი დღგ-ს ჩათვლით |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | Nissan Patrol GR | 1996 | 2,8 | შავი | 316352 | მექანიკური | 2 400 |
| 2 | Toyota Land Cruiser | 2003 | 4,2 | შავი | 678132 | მექანიკური | 4 500 |
| 3 | MA3 53371 | 1987 | | ყვითელი | | მექანიკური | 1 700 |
| 4 | MA3 500 | 1969 | | ლურჯი | | მექანიკური | 1 700 |

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად ყველა მსურველმა უნდა გადაიხადოს „ბე” ლოტის ღირებულების 10%-ის ოდენობით (ექვივალენტი ლარებში) დ.ღ.გ.-ს ჩათვლით შემდეგ რეკვიზიტებზე:

**USD-Account:** Intermediary Bank: Citibank N.A., New York, USA; SWIFT: CITIUS33, Account With Institution: Bank of Georgia, SWIFT: BAGAGE22; 3, Pushkin Street, 0105 Tbilisi, Georgia, Beneficiary: JSC ELMAVALMSHENEBELI, Account: GE59BG0000000298256900.

**GEL-Account:** სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი” ბანკის კოდი: BAGAGE22, სს „ელმავალმშენებელი”, მიმღების ანგარიშის ნომერი GE59BG0000000298256900.

დოლარის ლარში გაანგარიშება მოხდება აუქციონის ჩატარების დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

წაგების შემთხვევაში „ბე” მონაწილეს დაუბრუნდება უკან.

მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე მოგებული საქონლის საბოლოო გასაყიდი მთლიანი ღირებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საქონელზე საკუთრების უფლება და „ბე” არ დაუბრუნდება.

სხვა კონკრეტული პირობები დაზუსტებული იქნება აუქციონში გამარჯვებულ პრეტენდენტთან გასაფორმებულ ორმხრივ ხელშეკრულებაში.

***ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:***

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები მიიღება ყოველდღე უქმე დღეების გარდა, $10^{00}$-დან $15^{00}$-საათამდე. (ქ.თბილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის II სართული, ოთახი №216).

აუქციონი გაიმართება 2015 წლის 10 სექტემბერს $15^{00}$ საათზე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის III სართული.

***აუქციონში მონაწილეობისათვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:***

1. განცხადება აუქციონში მონაწილეობის შესახებ (მონაწილეზე სრული ინფორმაციის გათვალისწინებით: მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი).
2. „ბე”-ს გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი (დედანი).
3. პირადობის მოწმობის ქსერო ასლი.
4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვისი სახელით.
5. იურიდიულმა პირებმა დამატებით წარმოადგინონ განახლებული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

***გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:***

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დაფიქსირება (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისა).

ინფორმაცია აუქციონის პირობების და გამოტანილი საქონლის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ:

ვებ-გვერდი: www.glmf.ge; ტელ. 5 93 922 802, 5 77 003 707, 5 77 003 521

**სს „ელმავალმშენებელის” მუდმივმოქმედი სააუქციონო და საკონკურსო კომისია.**

№162. სამშაბათი, 1 სექტემბერი, 2015 წელი.



# მზე ხელისგულზე

## ასტროფიზიკოს მიხეილ ალანიას „კოსმოსური თავგადასავალი“

**მრავალი ქართველი მეცნიერი წარმატებით მოღვაწეობს საზღვარგარეთის ქვეყნებში. დიდი წარმატებით მოღვაწე მკვლევართა შორისაა პოლონეთში მოღვაწე გეოფიზიკოსი, ასტროფიზიკოსი, კოსმოსური სხივების ფიზიკის მკვლევარი, პროფესორი მიხეილ ალანია.**

მიხეილ ვიქტორის ძე ალანია დაიბადა 1935 წლის 30 აპრილს ხობის რაიონის, სოფ. შუა ქვალონში. 1953 წელს საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრებისთანავე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. 1958 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის კოსმოსური სხივების განყოფილებაში.

კოსმოსური სხივები აღმოაჩინეს 1912 წელს. საქართველოში კი კოსმოსური სხივების ბუნების შესასწავლად ფართო მასშტაბიანი კვლევები დაიწყო მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ. ამ დროისათვის უკვე შესწავლილი იყო კოსმოსური სხივების მთელი რიგი თვისებები. მეოცე საუკუნის 50-60 წლებში ცნობილი გახდა, რომ მზე აფრქვევს დამუხტული ნაწილაკების (ძირითადად პროტონებისა და ელექტრონების) დიდ ნაკადებს, რომლებიც ვრცელდება პლანეტთაშორის სივრცეში. ისინი „მზის ქარის“ სახელწოდებითაა ცნობილი. მზეზე უწყვეტად მიმდინარეობს ელექტრო-მაგნიტური პროცესების თითქმის პერიოდული (დღე-ღამური, 27-დღიანი, 11-წლიანი და 22-წლიანი) და არაპერიოდული ცვლილებები.

გეოფიზიკის ინსტიტუტის კოსმოსური სხივების ლაბორატორიის (ხელმძღვანელი ვ. ქოიავა) მეცნიერული პრობლემა იყო კოსმოსური სხივების ანიზოტროპიისა და სხვადასხვა კლასის ვარიაციების გამოკვლევის საფუძველზე მზეზე მიმდინარე პროცესებისა და დედამიწის ახლო კოსმოსური სივრცის ელექტრო-მაგნიტური მდგომარეობის შესწავლა. 1967 წელს მ. ალანიამ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

მ. ალანია 1969 წელს აირჩიეს გეოფიზიკის ინსტიტუტის კოსმოსური სხივების განყოფილების გამგედ. კოსმოსური სხივების განყოფილებაში ექსპერიმენტული სამუშაოების განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო 1969-1971 წლებიდან, როდესაც მ. ალანიამ შეიმუშავა ორიგინალური კონსტრუქციის ჯვარედინი ტელესკოპი კოსმოსური სხივების მეზონურ კომპონენტებზე დაკვირვებებისათვის მიწისზედა და მიწისქვეშა დონეებზე. შემოთავაზებული იდეის საფუძველზე მ. ალანიას ხელმძღვანელობით კოსმოსური სხივების ლაბორატორიის თანამშრომელთა მიერ 1972-1975 წლებში შეიქმნა და ამუშავდა ახალი კონსტრუქციის მიწისზედა (ტ-12) და მიწისქვეშა (ტ-16) ჯვარედინა ტელესკოპები. ასევე, მისი ხელმძღვანელობით კოსმოსური სხივების ლაბორატორიის ახალგაზრდა თანამშრომელთა მიერ 1976-1978 წლებში შეიქმნა მრავალარხიანი კომპლექსური მოწყობილობა მონაცემთა პირველადი დამუშავებისა და ოპტიმიზაციისათვის, რისთვისაც მისმა ავტორებმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სპეციალური პრემია დაიმსახურეს (1982 წ.).

ექსპერიმენტულ მონაცემებსა და თეორიულ-მოდელურ ანალიზზე დაყრდნობით მოსკოველმა პროფესორმა ლ. დორმანმა და მ. ალანიამ განავითარეს წარმოდგენა მზის ქარის ჰელიოგანედური ასიმეტრიისა და მასთან დაკავშირებული კოსმოსური სხივების ვარიაციების შესახებ. მ. ალანიამ და მისმა ასპირანტებმა ნეიტრონული მონიტორების ექსპერიმენტულ მონაცემებზე დაყრდნობით და თეორიული გათვლების საფუძველზე აჩვენეს, რომ არსებობს კოსმუსური სხივების ანიზოტროპიის სრულიად ახალი ტიპის კვაზიპერიოდული ვარიაციები (მათ შორის 27-დღიანი), რომლებიც დაკავშირებულია კოსმოსური სხივების ნაწილაკების პლანეტათაშორისი მაგნიტური ველის სექტორულ სტრუქტურებში მოძრაობასთან. მზის ქარისა და კოსმოსური სხივების პლანეტთაშორის სივრცეში გავრცელების არსებული თეორიები, აგებული ჰელიოსფეროს მაგნიტური ველის ორგანზომილებიან მოდელზე, მზის მაგნიტური ველის ჰელიოგანედური კომპონენტის არსებობას არ ითვალისწინებდა. ჰელიოსფეროში კოსმოსური სხივების გავრცელების უფრო სრულყოფილად აღსაწერად მ. ალანიას მიერ 1978-1980 წლებში შემოთავაზებული იყო ახალი მათემატიკური მოდელი — ანიზოტროპული დიფუზიის განზოგადებული ტენზორი პლანეტთაშორისი სივრცის სამგანზომილებიანი რეგულარული მაგნიტური ველის მოდელისათვის.

ნაჩვენები იყო, რომ სამგანზომილებიანი მაგნიტური ველის გათვალისწინება იძლევა კოსმოსური სხივების ინტენსივობის უფრო ინტენსიურ მოსალოდნელ ცვლილებას, განსაკუთრებით მზის აქტივობის მინიმუმის ეპოქისათვის.

ასევე, მ. ალანიამ აჩვენა, რომ კოსმოსური სხივების ინტენსივობის ცვლილება, გამოწვეული რეგულარული მაგნიტური ველის სიმრუდით და გრადიენტით გაითვალისწინება დიფუზიის ტენზორის ანტისიმეტრიულ ნაწილში პლანეტთაშორისი სივრცის სამგანზომილებიანი რეგულარული მაგნიტური ველის შემთხვევაშიც. ნაჩვენებია, რომ მზის 11-წლიანი აქტივობის ლუწ ციკლებში კოსმოსური სხივების განედური და რადიალური ნაკადები დრეიფის გამო მიმართულია ისე, რომ იწვევენ კოსმოსური სხივების სიმკვრივის ზრდას და რადიალური გრადიენტის შემცირებას, ხოლო კენტ ციკლებში შებრუნებული სიტუაცია გვაქვს. ზემოთ ხსენებული კვლევები და სხვა მეცნიერული შედეგები, დაკავშირებული კოსმოსური სხივების ვარიაციების თეორიულ, ექსპერიმენტულ, მოდელურ და მეთოდურ კვლევასთან დაედო საფუძვლად მ. ალანიას სადოქტორო დისერტაციას, რომელიც მაღალ დონეზე იყო შეფასებული საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მოსკოვის ფიზიკური კვლევის ინსტიტუტში და წარმატებით დაიცვა 1982 წლის იანვარში უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტში. კოსმოფიზიკურ მეცნიერებაში და ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მომზადებაში მიღწევებისათვის საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ 1988 წელს მ. ალანიას პროფესორის წოდება მიანიჭა.

1990-იანი წლების დასაწყისის კატაკლიზმებმა ხელი შეუშალა კოსმოსური სხივების კვლევებს. 1993 წელს მიხეილ ალანია მიწვევით გადადის პოლონეთში და იწყებს მუშაობას ქ. სიედლცეს უნივერსიტეტის მათემატიკისა და ფიზიკის ინსტიტუტში. იგი იყო ფიზიკის კათედრის გამგე 1994-2014 წლებში; 2014 წლიდან დღემდე კი არის ფიზიკის და რიცხვითი მეთოდებით ანალიზის განყოფილების გამგე. აღსანიშნავია, რომ პროფესორი მ. ალანია სამი აკადემიური ვადით 1995-2005 წლებში იყო არჩეული მათემატიკისა და ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორად და სიედლცეს უნივერსიტეტის სენატის წევრად. მან ჩამოაყალიბა ახალგაზრდა მკლევართა ჯგუფი, რომელმაც მისი ხელმძღვანელობით შეასრულა მნიშვნელოვანი მეცნიერული კვლევები კოსმოსური სხივების მოკლე- და გრძელვადიანი ვარიაციებისა და მასთან უშუალოდ დაკავშირებული მზის აქტივობის, ჰელიომაგნიტური ველის, მზის ქარის, პლანეტთაშორისი სივრცის, დედამიწისპირა ჰელიოსფეროს პარამეტრების შეფასებაში, კოსმოსური სხივების გავრცელების 2 და 3-განზომილებიანი სტაციონარული და არასტაციონარული მათემატიკური მოდელების შექმნასა და განვითარებაში; ექსპერიმენტული მონაცემების ანალიზისა და თეორიულ-მათემატიკური მოდელირების საფუძველზე მან და მისმა ჯგუფმა დაადგინეს, რომ მზის 11-წლიანი აქტივობის მაქსიმუმიდან მინიმუმში გადასვლისას პლანეტთაშორისი მაგნიტური ველის ტურბულენტობის სტრუქტურის მნიშვნელოვანი ცვლილებები წარმოადგენს კოსმოსური სხივების გრძელპერიოდიანი ცვლილებების ერთ-ერთ ძირითად მექანიზმს, ხოლო კოსმოსური სხივების ვარიაციების სიხისტის სპექტრის მაჩვენებელი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ეფექტური პარამეტრი კოსმოსური სხივების ტრანსპორტის კომპიუტერული მოდელირების შედეგებისა და ექსპერიმენტული მონაცემების შესადარებლად.

**გარდა კოსმოსური სხივების ასტროფიზიკისა, მზის აქტივობისა და მზის ქარის და მზე-დედამიწის კავშირების ფიზიკის კვლევისას შესამჩნევია მ. ალანიას დაინტერესება სხვა მიმართულებითაც. პროფესორ მ. ალანიას მიერ შემუშავებული მათემატიკური მეთოდის საფუძველზე, პროფესორ მ. ალანიასა და მის ჯგუფს პოლონეთში მიღებული აქვს სხვა საინტერესო შედეგებიც, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს დღევანდელობის აქტუალური პრობლების — კოსმოსური ამინდისა და დედამიწაზე კლიმატის ცვლილებების შესწავლაში. მისი ინიციატივით ქართველ მეცნიერთა თანაავტორობით გამოკვლეული და შეფასებულია დედამიწის ზედაპირზე ტემპერატურის ცვლილების საუკუნოვანი ტენდენცია წელიწადის სხვადასხვა სეზონისათვის თბილისის მონაცემებზე დაყრდნობით და ნაჩვენებია მტკიცე კავშირი მსოფლიო გლობალური ტემპერატურის ცვლილების ტენდეციასთან.**

უნდა აღინიშნოს, რომ პროფესორ მ. ალანიასა და მის ჯგუფს პოლონეთში ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს მაღალ რეიტინგულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში 50-ზე მეტი სამეცნიერო სტატია და დაახლობით ამდენივე სხვა რეფერირებულ გამოცემებში და საერთაშორისო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების კრებულებში. პროფ. მ. ალანიას ავტორობითა და თანაავტორობით გამოაქვეყნებულია 250-ზე მეტი სამეცნიერო შრომა და სამი მონოგრაფია კოსმოსური სხივების, კოსმოფიზიკისა და მზე-დედამიწის კავშირების ფიზიკის და გეოფიზიკის დარგში ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ძირითადად უცხოეთის სამეცნიერო ჟურნალებში. მ. ალანიამ მონაწილეობა მიიღო არაერთ საერთაშორისო კონგრესებში, კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში, სადაც მოხსენებული აქვს თავისი ორიგინალური მეცნიერული შედეგები.

მ. ალანია დიდ ყურადღებას აქცევს მაღალი კვლიფიკაციის კადრების მომზადებას. მან მოამზადა რამდენიმე ათეული მაგისტრი მათემატიკურ და ფიზიკურ სტატისტიკაში, ფინანსურ მათემატიკაში, კოსმოსური სხივების ასტროფიზიკაში და სხვა. მას მომზადებული ჰყავს 13 მეცნიერებათა კანდიდატი, მათ შორის 9 საქართველოში, 4 კი პოლონეთში. ამავე დროს ის გახლდათ, რამდენიმე სადოქტორო დისერტაციის მეცნიერული კონსულტანტი. დღესდღეობით მისი კონსულტაციებით დასაცავად გამზადებულია 4 სადოქტორო დისერტაცია.

პროფ. მ. ალანია იყო საბჭოთა კავშირისა და შემდგომ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული კოსმოსური სხივების საპრობლემო საბჭოს წევრი (1970-2002 წწ.), საბჭოთა კავშირისა და შემდგომ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული მზე-დედამიწის კავშირების საპრობლემო საბჭოს წევრი (1980-2002 წწ.), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული მზე-დედამიწის კავშირების ფიზიკის საპრობლემო საბჭოს თავმჯდომარე (1982-1996 წწ.), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს წევრი (1975-2002 წწ.). იგი პოლონეთის ასტროფიზიკური ნაწილაკების ქსელის წევრია 2007 წლიდან და კოსმოსური სივრცის კვლევის საერთაშორისო კომისიის (COSPAR) ასოცირებული წევრი1993 წლიდან. ის შეყვანილია ოქსფორდის „Who is who“-ს რამდენიმე გამოცემაში, როგორც წარმატებული და აღიარებული მეცნიერი.

საქართველოში მუშაობის დროს მან მიიღო, რამდენიმე ჯილდო, მათ შორის საქართველოს უმაღლესი საბჭოს სიგელი გეოფიზიკის ინსტიტუტის წინაშე დამსახურებისთვის, მთავრობის ჯილდო მეცნიერული და ორგანიზაციული მიღწევებისთვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჯილდო მეცნიერული მიღწევებისათვის და სხვა. დიდია პროფ. მიხეილ ალანიას ღვაწლი პოლონეთის კოსმოფიზიკის სკოლის განვითარებაში. 2001 წელს მან მიიღო მედალი სიედლცეს უნივერსიტეტის წინაშე დამსახურებისათვის. 2004 წელს პოლონეთის სპორტისა და განათლების მინისტრის მედალი ახალგაზრდობის აღზრდისა და განათლებისთვის. 2009 წელს კი მ. ალანიამ პოლონეთის პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკისაგან მიიღო ოქროს მედალი პოლონეთში ხანგრძლივი მეცნიერული მოღვაწეობისათვის.

პროფ. მიხეილ ალანია არჩეულია ევროპის მეცნიერებათა აკადემიის (EURASC) წევრად 2005 წელს. 2013-2015 წლებში როგორც უცხოეთში წარმატებული მოღვაწე ის იყო შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის ხელმძღვანელი, რომლის მთავარი მონაწილე და შემსრულებელი იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ევგენი ხარაძის სახელობის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ასტროფიზიკოს-მეცნიერთა ჯგუფი პროფესორ გოდერძი დიდებულიძის ხელმძღვანელობით. ასევე, პროფესორი მიხეილ ალანია წარმატებით თანამშრომლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლებთან.

2002 წლიდან ის პოლონეთის მოქალაქე გახდა, ხოლო 2005 წლიდან საქართველოს და პოლონეთის მოქალაქეა.

აღსანიშნავია, რომ ამჟამად, 2015-2016 წლებში, პროფესორი მიხეილ ალანია იმყოფება ერთწლიან სამეცნიერო შვებულებაში და ამ პერიოდის განმავლობაში მას გადაწყვეტილი აქვს აქტიური მეცნიერული თანამშრომლობა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ევგენი ხარაძის სახელობის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის თანამშრომლებთან.

2015 წლის აპრილში ქ. სიედლცეს (პოლონეთი) უნივერსიტეტის მათემატიკისა და ფიზიკის ინსტიტუტის მეგობრებმა და კოლეგებმა 80 წლის იუბილე გადაუხადეს ღვაწლმოსილ მეცნიერს, პროფესორ მიხეილ ალანიას. ჩვენც ვუსურვოთ ღვაწლმოსილ მეცნიერს ჯანმრთელობა, ხანგძლივი სიცოცხლე და კვლავაც მისთვის ჩვეული ნაყოფიერი მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობა.

**თამარა ზახარუკი,**
**სიედლცეს (პოლონეთი) საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული უნივერსიტეტის რექტორი, ჰაბილიტებული დოქტორი, პროფესორი;**

**ალექსი ტრეტიაკოვი,**
**სიედლცეს (პოლონეთი) საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული უნივერსიტეტის მათემატიკისა და ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;**

**ნუგზარ ღლონტი,**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიური დოქტორი;**

**რაფიელ ჩიქოვანი,**
**საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარე, პროფესორი;**

**დევი ღარიბაშვილი,**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი.**

# რუსეთი შეეცდება, საშიშროება სათავისოდ გამოიყენოს და რეგიონში პოზიციები განიმტკიცოს



**„ისლამური სახელმწიფოს“ გააქტიურების შედეგებზე, ასევე „ისლამური სახელმწიფოს“ მისსავე მუსლიმურ სამეზობლოსთან ურთიერთობებსა და შექმნილ ვითარებაში საქართველოს საფრთხეებზე, „ინტერპრესნიუსი“ საქართველოს გენერალური შტაბის უფროსის ყოფილ მოადგილეს, ავღანეთში პირველი ქართული კონტინგენტის მეთაურს ლაშა ბერიძეს ესაუბრა.**

**— ბატონო ლაშა, ჩვენგან არც ისე შორს, „ისლამური სახელმწიფოს“ გააქტიურების კვალობაზე ახლო აღმოსავლეთსა და ისლამურ სახელმწიფოებში უკიდურესად რთული ვითარებაა. რაც უფრო მეტი დრო გადის, „ისლამური სახელმწიფო“ საერთაშორისო პოლიტიკის დღის წესრიგის ერთ-ერთი მთავარი თემა და გამოწვევა ხდება. „ისლამური სახელმწიფოს“ თემაზე ბევრი იწერება. ყოველდღიურად იცვლება მისი გავრცელების არეალი და სისასტიკის მასშტაბები პიკს აღწევს. მას შემდეგ, რაც „ისლამური სახელმწიფოს„ შენაერთებმა ეგვიპტის ქალაქი აიღეს, კიდევ ერთი სახელმწიფო აღმოჩნდა ამ დიდ რელიგიურ თუ ცივილიზაციურ კონფლიქტში ჩათრეული. დღეს არსებული მონაცემებით, რომელი ქვეყნების რა ტერიტორიაზე ვრცელდება „ისლამური სახელმწიფოს“ გავლენა, როგორ შეაფასებდით დღეს ე.წ. „ისლამურ სახელმწიფოში“ არსებულ ვითარებას, მის სამხედრო პოტენციალსა და კიდევ უფრო გააქტიურების სავარაუდო მასშტაბებს?**

— „ისლამური სახელმწიფო“ ნამდვილად დიდი გამოწვევაა დასავლეთისთვის და დიდი საფრთხე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის. წინამორბედი ორგანიზაცია „ალ ქაიდასთან“ შედარებით, ის გაცილებით ეფექტურია ბრძოლის ველზე, მოახერხა საკმაოდ დიდი ტერიტორიების ხელში ჩაგდება სირიასა და ერაყში, შექმნა ფილიალები ლიბიაში, ეგვიპტეში, სინაის ნახევარკუნძულზე, აფრიკაში, ჩრდილოეთ კავკასიაში და ყავს ძალიან დიდი რაოდენობის მხარდამჭერი როგორც სუნიტურ ახლო აღმოსავლეთში, ასევე ევროპასა და რუსეთში.

ერთი შეხედვით, „ისლამური სახელმწიფო“ ყველას გადაეკიდა თავისი უაზრო დასჯებით და სისასტიკით — სირიის მთავრობას, სირიის ოპოზიციას, ერაყს, ირანს, შიიტებს, დასავლეთს, არაბულ სახელმწიფოებს და ა.შ. ეს ძალიან არარაციონალურია, მაგრამ სწორედ ეს არარაციონალურობა ხდის მას „მიმზიდველს“. იგი მიმზიდველია როგორც მარგინალური ჯგუფებისათვის, ისე იმ ჯგუფებისათვის, რომლებიც თავს დაჩაგრულად გრძნობენ, ასევე რადიკალი მუსულმანი ახალგაზრდებისათვის, ისე განათლებული და რევოლუციური იდეებით შეპყრობილებისთვისაც. მათი სისასტიკეც არარაციონალურობაში მდგომარეობს. ალბათ, ადვილია თქვა, რომ ეს ბოროტებაა (რასაც მე ვეთანხმები) და ეშმაკისგან არის გამოგზავნილი, მაგრამ სისასტიკის რეალური მიზეზი მათთვის სრულიად აშკარაა და პრაგმატული. ეს არის შუასაუკუნოვანი იარაღი, რათა ფსიქოლოგიურად გატეხო მოწინააღმდეგე და შენი მართვის ქვეშ მყოფი მასები იყოლიო შიშის ქვეშ. ანუ, ყველამ იცის, თუ რა ელით მათ, ვინც „ისლამურ სახელმწიფოს“ არ ემორჩილება. ისინი ხომ ადამიანებს დიდი არჩევანის საშუალებას არ აძლევენ. ამის კარგი მაგალითია სირიაში ქალაქ დეირ აზორის სუნიტური ტომი, რომელმაც სცადა „ისლამური სახელმწიფოს„ წინააღმდეგ ბრძოლა და მათ საშინლად გაუსწორდნენ. ამავე დროს, რომელი სუნიტური ტომიც „ისლამურ სახელმწიფოს“ მხარეს გადადის, რეალურად, თვითგადარჩენით ნაკარნახებ არჩევანს აკეთებს — არჩევანს „ისლამურ სახელმწიფოსა“ და ასადს შორის, ანდა არჩევანს მათსა და შიიტებს შორის. მცდარი არჩევანი ნებისმიერ შემთხვევაში ძალიან მძიმედ დასრულდება.

**— მას შემდეგ, რაც ე. წ. „არაბული გაზაფხულის“ ტალღამ პრეზიდენტ მუბარაქის რეჟიმი დაამხო, სამ წელზე მეტია, ეგვიპტეში ვერა და ვერ ლაგდება სიტუაცია. ეგვიპტეში, პრაქტიკულად კვლავ იატაკქვეშეთში არიან გადასული „ძმები მუსლიმები“. რამდენად დიდია ალბათობა, რომ ეგვიპტელმა „ძმებმა მუსლიმებმა“ ისარგებლონ „ისლამური სახელმწიფოს“ გააქტიურებით და ეგვიპტის მთელ ნაწილზე თუ არა, საკმაოდ დიდ ტერიტორიებზე გაავრცელონ თავისი გავლენა? და კიდევ, რამდენად მზადაა და ბრძოლისუნარიანია ეგვიპტის სამთავრობო ჯარი, რათა სირიის მსგავსად არ დაუშვას „ისლამური სახელმწიფოს“ გავლენის არეალის გაფართოება?**

— ეგვიპტეში აქ მოვლენათა ყველაზე საინტერესო და სახიფათო განვითარებაა მოსალოდნელი. ახლანდელმა მმართველმა სამხედრო ელიტამ, პრეზიდენტ-გენერალ სისის ხელმძღვანელობით, საკმაოდ რთულ ვითარებაში მოახდინა კონტრრევოლუცია, ყველა არსებული საშუალებით, ოპონენტების ფიზიკურად განადგურებითაც კი და ახლა ცდილობს სტატუს-ქვოს შენარჩუნებას.




ასევე აღსანიშნავია, რომ მუჰამედ მურსის მოკლევადიანი მმართველობა სრული იმედგაცრუება იყო ეგვიპტელებისთვის და მათი არაბი პარტნიორებისთვის.

რაც შეეხება ეგვიპტის კონფლიქტს „ისლამურ სახელმწიფოსთან“. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეგვიპტე, სირიის, ერაყის ან ლიბიისაგან განსხვავებით დიდი, მოსახლეობით 80-მილიონიანი და განვითარებული სახელმწიფოა, რომელსაც ყავს საკმაოდ ძლიერი და რეჟიმის ლოიალური ჯარი. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც „ისლამურ სახელმწიფოს“ მხარდამჭერებს მოუწევთ ბრძოლა გაწვრთნილი რეგულარული ჯარის წინააღმდეგ.

რაც შეეხება მათ აქტივობას, ის შემოიფარგლება სინაის ნახევარკუნძულით, ხოლო სინაის მეამბოხეებსა და სამთავრობო ძალებს შორის კონფლიქტს საკმაოდ დიდი ისტორია აქვს. როგორც აღვნიშნე, „ისლამური სახელმწიფო“ არის ეფექტური იქ, სადაც მოსახლეობის მხარდაჭერა აქვს. ჩემი ვარაუდით, ეგვიპტის სამხედრო ელიტა წარმატებით გააგრძელებს „მუსლიმთა საძმოს“ დევნას, რეპრესიებს და მოახერხებს „ისლამურ სახელმწიფოსთან“ კონფლიქტის არეალის სინაის ნახევარკუნძულზე ლოკალიზებას.

**— ვინაიდან თქვენ ავღანეთში საკმაოდ დიდხანს მსახურობდით, ალბათ დღესაც ფლობთ ინფორმაციას, „ისლამურ სახელმწიფოს“ ყავს თუ არა მხარდამჭერები ავღანეთში? რა დამოკიდებულებაა თალიბებსა და მათ შორის, სავარაუდოდ, რა გეგმები აქვს „ისლამურ სახელმწიფოს“ ავღანეთთან მიმართებაში და რამდენად დიდია მათი განხორციელების ალბათობა?**

— რაც შეეხება ავღანეთს. აქ მთავარი მოქმედი ძალა „თალიბანია,“ რომელსაც საკმაოდ ძლიერი პოზიციები აქვს. ამ ეტაპზე, ისევე როგორც „ალ ქაიდას“, ასევე „თალიბანს“ „ისლამურ სახელმწიფოს“ კონკურენტად უფრო განიხილავენ, ვიდრე მოკავშირედ. ახლო აღმოსავლეთისაგან განსხვავებით, სადაც „ისლამურმა სახელმწიფომ“ „დაჩრდილა“ „ალ ქაიდა“ და სხვა ისლამისტური ჯგუფები, „თალიბების“ ამბიცია უფრო რეგიონალურია, მხოლოდ ავღანეთში ძალაუფლების დაბრუნებასა და პაკისტანის გარკვეულ ნაწილში კონტროლის შენარჩუნებაზეა ორიენტირებული. აგრეთვე, უნდა აღინიშნოს, რომ ამ რეგიონში მცირედ წარმოქმნილი „ისლამური სახელმწიფოს“ მხარდამჭერები ვერანაირ კონკურენციას ვერ გაუწევენ „თალიბებს“, რომლებიც ძირითადად ერთი ეთნიკური ჯგუფის-პუშტუნების გარშემო არიან ორგანიზებული. რაც შეეხება გლობალურ კონტექსტს, კონსპირაციის თეორიებს არ ვიზიარებ. ან როგორ შეიძლება „ისლამურ სახელმწიფოს“ არარაციონალურ ძალასთან კონსპირაცია?! ეს ხომ წარმოუდგენელია. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ გააქტიურება ხელს აძლევს „თალიბანს“, რამეთუ დასავლეთის ყურადღება და რესურსები ავღანეთიდან ნელნელა ახლო აღმოსავლეთში ინაცვლებს.

**— ცნობილი ფაქტია, რომ „ისლამურ სახელმწიფოს“ შენაერთებს ყველაზე მედგარ წინააღმდეგობას უწევენ ქურთული შენაერთები. ისიც ფაქტია, რომ არა ბრძოლისუნარიანი ქურთული შენაერთები, „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ დაპყრობილი ტერიტორიები ბევრად უფრო დიდი იქნებოდა. აშკარაა, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ სახით უდიდეს გამოწვევას ცივილიზებული სახელმწიფო ვერც ადეკვატურად პასუხობს და ვერც ეფექტურად. ცნობილმა რუსმა აღმოსავლეთმცოდნემ ალექსეი მალაშენკომ, ისლამის გააქტიურების საკითხებთან დაკავშირებით თბილისში გამართულ კონფერენციაზე გამოთქვა მოსაზრება, რომ შექმნილ ვითარებაში „გამოსავალი რეალურად არ არსებობს“. ანუ, შეუძლებელია ე.წ. რადიკალურ ისლამთან და „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ეფექტური ბრძოლა.**

— თუ მუსლიმურ ქვეყნებში და კერძოდ ე.წ. „ისლამურ სახელმწიფოში“ პროცესები იმ ტრაექტორიით განვითარდა, როგორც უკანასკნელი წელია ვითარდება, რა საფრთხეების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ცივილიზებული სამყარო, საქართველო, იმის გათვალისწინებით, რომ „ისლამურმა სახელმწიფომ“ ჩრდილოეთ კავკასიაში თავისი საამირო დააფუძნა და იმავე რუსი აღმოსავლეთმცოდნე მალაშენკოს მტკიცებით, „ისლამურმა სახელმწიფომ“ პრაქტიკულად ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი „კავკასიის იმირატი“ დაიქვემდებარა“...

— რაც შეეხება ქურთებს, მათ წარმატებას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს.

1. ქურთები ერთადერთი ჯგუფია რეგიონში, რომელიც აშშ-ისა და დასვლეთის ბუნებრივი მოკავშირეა. ამის დამადასტურებელია ისიც, რომ ქურთების წინააღმდეგ ძალადობა დასავლეთში უფრო დიდ ყურადღებას და შეშფოთებას იწვევს, ვიდრე თუნდაც ქრისტიანების წინააღმდეგ ძალადობა.

2. ქურთები ერთი ეთნიკური ჯგუფის გარშემო არიან გაერთიანებული, რომლებიც მკვეთრად განსხვავდებიან სხვა ჯგუფებისგან და ძირითადად ორი დიდი დაჯგუფებაა, რომლებიც კოორდინირებულად მოქმედებენ. ერთია ერაყის ქურთები და მეორე — თურქეთ-სირიის ქურთები.

3. ქურთებს კარგად ესმით, რომ მათი საუკუნოვანი ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის ახლოს არის მიზანთან და პირდაპირ არის დამოკიდებული „ისლამურ სახელმწიფოზე“ გამარჯვებაზე.

4. ძალიან მნიშვნელოვანია ქურთების ბრძოლოსუნარიანობა, განსაკუთრებით თვალშისაცემია ქალების აქტიურობა. მარტივი აქსიომაა — ქალი ასოცირებულია დედასთან და ერი, რომლის დედებიც იარაღით ხელში იბრძვიან, გაცილებით უფრო მობილიზებული და წარმატებულია.

5. ქურთები ყველაზე ორგანიზებული ძალაა და დიდი ალბათობით წარმატებული იქნებიან, ვინაიდან ყველა ერის ჩამოსაყალიბებლად ომში გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ამ კონკრეტული რუსი ექსპერტისთვის არ მომისმენია, მაგრამ, შემიძლია პირდაპირ გითხრათ, რომ იგი ცდება. თუ გადავხედავთ ისლამისტური ძალების გაძლიერების ტენდენციას, მნიშვნელოვანი და ეფექტურია, მას დავუპირისპიროთ ადგილობრივი ძალები, რომლებსაც შესწევთ უნარი, თვითონ გადაწყვიტონ თავიანთი პრობლემები და ენერგია მივმართოთ მეგობრული მთავრობების გასაძლიერებლად. ალბათ, ეს კონფლიქტი დიდხანს გაგრძელდება, მაგრამ ყველა ქვეყანამ რომ თავისი „საშინაო დავალება“ შეასრულოს, წარმატების მიღწევა შესაძლებელია.

რაც შეეხება რუსების პოზიციას რეგიონში. სირიაში ასადის რეჟიმი არანაკლები სისასტიკით გამოირჩევა, ხოლო ერაყში შიიტური რაზმების გაძლიერება „კვებავს“ „ისლამურ სახელმწიფოს“ და ხშირად, ადგილობრივ სუნიტებს არჩევანის გაკეთება სწორედ მათ შორის უწევს. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ რუსეთი ასადს ღიად უჭერს მხარს.

ადგილობრივი სუნიტური ჯგუფების კონტროლი და ლოიალობა „ისლამური სახელმწიფოს“ გრავიტაციის ცენტრს წარმოადგენს. ამის ნათელი მაგალითია ქალაქ რამადის აღება, რომლის მოსახლეობაც დაახლეობით ნახევარ მილიონზე მეტია, ტერიტორიით ძალიან დიდი და გაშლილი. ამას დავუმატოთ ის, რომ რამადიში იდგა ერთი ერაყული დივიზია. შედეგი — რამადის აღება და სრული კონტროლი „ისლამურმა სახელმწიფომ“ 400-500 მებრძოლით მოახერხა. შეუძლებელია, ეს მომხდარიყო ადგილობრივების დახმარების ან ჩაურევლობის გარეშე. მათ კარგად იციან, რასაც წარმოადგენს „ისლამური სახელმწიფო“, უბრალოდ, რომ გადარჩნენ, არჩევანის გაკეთება უწევთ.

რაც შეეხება საფრთხეებს. როგორც აღვნიშნე, ამ ეტაპზე „ისლამური სახელმწიფო“ საქართველოსთვის პირდაპირ საფრთხეს არ წარმოადგენს მათ არა აქვთ შესაძლებლობა, საქართველოზე პირდაპირი შეტევა განახორციელონ. საფრთხე შეიძლება იყოს ირიბი და წარმოადგენდეს რაიმე სახის პროვოკაციას ან ცალკეულ ტერაქტს გარკვეული ქვეტექსტით. ამის გაკეთება ჩვეთან ახლა რუსებს უფრო შეუძლიათ, ვიდრე „ისლამური სახელმწიფოს“ წარმომადგენლებს.

**— ანუ, თუ სწორად გავიგე, თქვენ არ გამორიცხავთ, რომ ისლამური საფრთხის არსებობის ვითარებაში ჩვენთან უფრო მოსალოდნელია რუსეთის დესტრუქციულად გააქტიურება და არა „ისლამური სახელმწიფოს?**

— რუსეთის მესიჯებს რომ დავაკვირდეთ, ისინი ცდილობენ, გაზრდილი ისლამისტური საფრთხე სათავისოდ გამოიყენონ, რაც შემდეგში მდგომარეობს — „მხოლოდ ჩვენ, რუსებს შევიძლია, დავიცვათ ქრისტიანები და არაქრისტიანები ისლამისტური ძალებისგან“ და ეს განსაკუთრებით აქტუალურია კავკასიაში. საქართველოს მიმართაც შეიმჩნევა შესაბამისი რიტორიკა, თითქოს რუსეთი დაგვიცავს. განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება ის ფაქტორი, რომ აშშ-მა და დასვლეთმა დააგვიანეს რეაგირება, რათა სირიაში და ერაყში დაეცვა მშვიდობიანი მოსახლეობა, გასაკუთრებით — ქრისტიანები.

თუ საქართველოს უახლოეს ისტორიას გადავხედავთ, რუსეთმა ეფექტურად გამოიყენა ისლამისტები ჩვენს წინააღმდეგ აფხაზეთის ომში, ჩეჩნეთის ორივე ომის დროს, როდესაც იქ არსებულ რაზმებს აიძულებდა, საქართველოში გადმოსულიყვნენ გამოსაზამთრებლად და ა.შ. აგრეთვე, 2008 წლის ომში. ასე რომ, ამის საფრთხე ისევ არსებობს და ჩვენ ყველაზე მეტად სწორედ ამ სახის საფრთხისთვის უნდა ვემზადოთ.

რაც შეეხება ჩვენ იმ მოქალაქეებს, ვისაც სჯერა, რომ რუსეთი დაგვიცავს, მათ გასაგონად ვამბობ — რუსეთი ჩვენ ზუსტად ისე დაგვიცავს, როგორც ტოტლებენმა დაიცვა ერეკლე მეფე. რუსეთი შეეცდება, ისლამური საფრთხე სათავისოდ გამოიყენოს, შეცვალოს მის მიმართ ჩვენი მოსახლეობის განწყობა და რეგიონში პოზიციები განიმტკიცოს.

**კოკა ბენდელიანი**

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

### ობიექტი № 1

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) საშუალო წლიური მოპოვების სიღრმე, ობიექტის მთელ ფართობზე არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მეტრს.<br>გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. შამგონას მიმდებარე ტერიტორია, მდ. ენგურის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია – P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 567 600 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. შამგონას მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 76 107 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 7 610,7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 38 254 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 01 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

### ობიექტი № 2

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) ჰიდროდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით, ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მ-ს.<br>გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. შამგონას მიმდებარე ტერიტორია, (უბანი თაგილონი) მდ. პატარა ენგურზე, „ენგური III" ქვიშა-ხრეშის საბადო, (კატეგორია P+$C_1$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 450 000 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. შამგონას მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 60 339 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 6 033,9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 30 370 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 01 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

### ობიექტი № 3

| | | |
|---|---|---|
| უნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. რუხის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ენგურის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება, (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ორივე უბანზე ერთად) - 184 500 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. რუხის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 24 739 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 2 473,9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 12 570 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 01 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| ობიექტი № 4 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ სალიცენზიო ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში.<br>დ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე გადაადგილების უფლება.<br>ე) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. შუა ბაშის ტერიტორია, „შუა ბაშის" ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია – P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა სამივე უბანზე - 463 200 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. შუა ბაშის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 36 113 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 3 611,3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (80%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 29 090 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 01 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 15 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| ობიექტი № 5 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ობიექტის ფარგლებში მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს შემდგომში ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით.<br>გ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისათვის მიღებული ნორმებისა და წესების დაცვით.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს ინვესტორს პოტენციური „მეგვი-ჰესის" მშენებლობის პროცესში გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებაში.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. მეგვის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტკვარზე „მეგვის" ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია – P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 7 800 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. მეგვის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 1 357 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 135,7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 879 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 01 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| ობიექტი № 6 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ სალიცენზიო ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში.<br>გ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე გადაადგილების უფლება.<br>დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი |

| | | |
|---|---|---|
| | | მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ორმოცის მიმდებარე ტერიტორიაზე, „ბალოვანის ხევის" ლოდნარის გამოვლინება (კატეგორია - P. მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 2 640 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ორმოცის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) „თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 5 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 01 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 7** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) ობიექტის დამუშავების პროცესში მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ექსპლუატაციის შემდგომ ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. ახალციხის ტერიტორია, მდ. ფოცხოვისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ორივე უბანზე ერთად) - 79 500 მ³) |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. ახალციხის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 660 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 066 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 5 530 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 01 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 8** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან.<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე.<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება.<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდინი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო ობიექტის (ჭაბურღილი) შემოღობვა.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ურეკის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით) კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 3 650 მ³/წელიწადში. |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ურეკის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 92 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 9,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 246 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 01 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 9** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით |

| | | |
|---|---|---|
| | სარგებლობისათვის | ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან.<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე.<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება.<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. №25 მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P. მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 2 920 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. №25 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 94 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 9,4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 247 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 01 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 10**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან.<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე.<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება.<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება.<br>ზ) სალიცენზიო უბნები ჭა და ჭაბურღილი საჭიროებს მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებას და შემოღობვას.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. მეჯვრისხევის ტერიტორია, (სოფ. კვარხითი) მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია -P. მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა (ორივე უბანზე ერთად) - 200 000 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. მეჯვრისხევის (სოფ. კვარხითი) ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 6 464 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 646,4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 3 432 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 01 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 11**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან.<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე.<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს |

| | | |
|---|---|---|
| | | საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება.<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება.<br>ზ) სალიცენზიო ობიექტი (ჭაბურღილი) საჭიროებს მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებას.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ენისელის (ჯუმბერასეული) ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - C₂, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 3 650 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ენისელის (ჯუმბერასეული) ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 71 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 7,1 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 236 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 01 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 12**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მინერალური წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან.<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მინერალური წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მინერალური წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე.<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება.<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი |

| | | |
|---|---|---|
| | | ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელმა აწარმოოს მონიტორინგული დაკვირვებები წყლის დებიტზე, ტემპერატურასა და ქიმიურ შემადგენლობაზე.<br>თ) ლიცენზიის მიღებიდან არა უმეტეს ორი წლის ვადისა, მონიტორინგულ მასალებზე დაყრდნობით შეადგინოს ჭაბურღილის (წყლის) მარაგების ანგარიში და უზრუნველყოს შესაბამის ორგანოში დასამტკიცებლად წარდგენა.<br>ი) ლიცენზიის მფლობელმა უზრუნველყოს სანიტარული ზონების დადგენა და დაცვა.<br>კ) ექსპლუატაციის პერიოდში უზრუნველყოს მუდმივი ჰიდროქიმიურ-რეჟიმული დაკვირვებები და სანიტარულ - ბაქტერიოლოგიური კონტროლი.<br>ლ) ლიცენზიის მფლობელმა უზრუნველყოს სალიცენზიო ობიექტის (ჭაბურღილი) მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება და შემოღობვა.<br>მ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ნ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, სოფ. ყანობის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მინერალური წყალი (სამკურნალო-სამკურნალო და ჩამოსასხმელი კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 3 650 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, სოფ. ყანობის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (80%) თანხის ოდენობა – 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 8 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 01 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 13**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან.<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე.<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება.<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი. |

| | | |
|---|---|---|
| | | ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწყობიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ოსიაურის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 7 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ოსიაურის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 0,2 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 0,02 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (80%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 200,16 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 01 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

## ობიექტი № 14

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან.<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე.<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება.<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწყობიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. ხაშურის ტერიტორია, იმერეთის ქ. №3. მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 1 825 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ხაშურის ტერიტორია, იმერეთის ქ. №3 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 59 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 5,9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (80%) ნთანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 247 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 01 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

## ობიექტი № 15

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით, მისი შემდგომი გამოყენებისათვის.<br>გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. ლანჩხუთის მიმდებარე ტერიტორია, „ლანჩხუთის" ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის (ორივე უბანზე ერთად) ჯამური მოცულობა - 412 000 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. ლანჩხუთის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 55 244 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 5 524,4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (80%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 44 395 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 01 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 01 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

ძიუდო



# საქართველო ბრინჯაოს პრიზიორია

**საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ირაკლი უზნაძის გაწვრთნილმა გუნდმა რეპეშაჟის ფინალში გერმანია 4:1 დაამარცხა.**

თავისი შეხვედრები მოიგეს ვაჟა მარგველაშვილმა (66 კგ), ლაშა შავდათუაშვილმა (73 კგ), ბექა ღვინიაშვილმა (90 კგ) და ვარლამ ლიპარტელიანმა (+90 კგ), ნუგზარ ტატალაშვილი (81 კგ) კი დამარცხდა.

ძირითად ბადეში გამოსვლა ქართველმა ძიუდოისტებმა მეოთხედფინალში დაასრულეს მონღოლეთთან 2:3 წაგებით. იქამდე ტუნისი ჩამოიცილეს – 4:1, ბრინჯაოს ნახევარფინალში კი რუსეთს აჯობეს – 3:2. პოდიუმის მესამე საფეხურზე საქართველოს ნაკრების გარდა მონღოლთა გუნდიც ავიდა.

ფინალში კი ერთმანეთს იაპონია და სამხრეთ კორეა დაუპირისპირდნენ და იაპონელებმა 3:2 იმარჯვეს.

შეგახსენებთ, რომ პირად ტურნირში ასევე მესამე ადგილები დაიკავეს ვარლამ ლიპარტელიანმა (90 კგ) და ადამ ოქრუაშვილმა (მძიმე წონა).

**მანუჩარ გიორგაძე**

კალათბურთი

# ვითომ უმნიშვნელოა?!

**მართალია, დაუწერელი კანონია, რომ უმაღლესი რანგის ფორუმების წინ გამართული საერთაშორისო ტურნირების შეხვედრათა შედეგებს დიდი მნიშვნელობა არ უნდა მივანიჭოთ, მაგრამ არსებობს თავმოყვარეობა, პრესტიჟი, ამა თუ იმ მეტოქესთან გამართული მატჩების სტატისტიკა, რომლებსაც სპორტული სამყარო, მეტადრე გულშემატკივარი, გვერდს ვერ აუვლის.**

სწორედ ამ ჭრილში უნდა განვიხილოთ იტალიურ ტრიესტში დასრულებული ოთხთა არაოფიციალური ბატალიები, რომელთაგანაც სამი დამდეგი ევრობასკეტის ფინალურ რაუნდში ითამაშებს. პირდაპირ უნდა ითქვას – საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა აპენინებზე გამოსვლით გაორებული შთაბეჭდილება დატოვა, თუმცა ნუ დავივიწყებთ, რომ უფერულ გენერალურ რეპეტიციას არაერთხელ მოჰყოლია ღირსეული ასპარეზობა უმთავრეს ბრძოლებში. ასე რომ, მეტისმეტად მკაცრად ნუ განვსჯით „ჯვაროსნებს“.

საფიქრებელი იყო, რომ იგორ კოკოშკოვი მასპინძლებთან სასტარტო დუელში ბიჭებს ნახევარი ძალით დატვირთავდა და მთელ ენერგიას რუსებთან მეორე დღეს დანიშნული ჯახისთვის დაზოგავდა, მაგრამ ასე არ მოხდა.





მოგეხსენებათ, ამასწინანდელ თბილისის მერიის თასის გათამაშებაში ნბა-ს პროფესიონალებით დახუნძლულმა სიმონე პიანიჯანის გუნდმა მწარე მარცხი გვაგემა – 87:67, რამაც ფაჩულიას, სანიკიძეს, მარკოიშვილსა და ცინცაძეს პრესტიჟი შეულახა, ეს კი სარევანშოდ განსაწყობად ჩინებული არგუმენტი აღმოჩნდა. მოვლენათა ჩვენთვის სასიკეთოდ განვითარებას ხელი „სკუადრა აძურას“ სასტარტო ხუთეულის წევრების – დატომესა (იგი საერთოდ არ გამოსულა სარბიელზე) და ბიარნიანის (მან ფეხი დებიუტშივე იღრძო) ტრავმებმა შეუწყო.

მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდ მაინც დავმარცხდით – 90:91, შეგვიძლია გარკვეული პოზიტივი აღნიშნულ ფაქტშიც შევამჩნიოთ. ეს, უპირველესად, ნატურალიზებულ ამერიკელ ლეგიონერ ჯეიკობ პულენს ეხება, რომელმაც, როგორც იქნა, სრულად გამოავლინა საკუთარი შესაძლებლობები და ერთბაშად ექვსი(!) სამქულიანი ჩააგდო. აღსანიშნავია აგრეთვე მწყობრში თორნიკე შენგელიას დაბრუნებაც.

ბუნებრივია, ფავორიტთან მჭიდის დაცლამ შესუსტებული შემადგენლობით მოთამაშე ჩრდილოელ მეზობლებთან იჩინა თავი – 6 69:81, მიჩიგანის უნივერსიტეტის სტუდენტებთან მინიმალური ანგარიშით მოპოვებულმა გამარჯვებამ კი, ალბათ, მხოლოდ მორალური კმაყოფილება მოგვანიჭა – 71:70.

**იტალია – რუსეთი 68:63.**

**საბოლოო მდგომარეობა:** იტალია – 3, რუსეთი – 2, საქართველო – 1, მიჩიგანი – 0 მოგება.

ასე რომ, რამდენიმე დღეც და საქართველოს ეროვნული ნაკრები ევრობასკეტში ჩაებმება. წარმატებები ვუსურვოთ „ჯვაროსნებს“.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ფეხბურთი

# კახა ცხადაძემ 24 ფეხბურთელი გამოიძახა

**საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კახა ცხადაძემ სექტემბრის დასაწყისში დანიშნული ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის გუნდის შემადგენლობა გაასაჯაროვა. ცხადაძემ 4 სექტემბერს შოტლანდიასთან და სამი დღის შემდგომ ირლანდიასთან გასამართი მატჩებისთვის 24 ფეხბურთელი გამოიძახა. „ჯვაროსნების“ რიგებს უბრუნდებიან ზურაბ ხიზანიშვილი და გიორგი მერებაშვილი. ასევე ნაკრებში ვიხილავთ „დინამოს“ ნიჭიერ მცველ ოთარ კაკაბაძეს.**

**საქართველოს ნაკრების შემადგენლობა კი შემდეგნაირია:**





**მეკარეები:** ნუკრი რევიშვილი („მორდოვია“, რუსეთი), გიორგი ლორია (უგუნდო), გიორგი მაკარიძე („ფეირენსე“, პორტუგალია).

**მცველები:** გიორგი ნავალოვსკი („დილა“, გორი, საქართველო), გიორგი ფოფხაძე („ფლამურტარი“, ალბანეთი), ალექსანდრე ამისულაშვილი („კარშიაკა“, თურქეთი), ზურაბ ხიზანიშვილი, ( „ინტერი“, ბაქო, აზერბაიჯანი), გურამ კაშია („ვიტესი“, ჰოლანდია), სოლომონ კვირკველია („რუბინი“, რუსეთი), უჩა ლობჟანიძე („ომონია“, კვიპროსი), ოთარ კაკაბაძე („დინამო თბილისი“, საქართველო).

**ნახევარმცველები:** მურთაზ დაუშვილი („კარპატი“, უკრაინა), ჯაბა კანკავა („რეიმსი“, საფრანგეთი), ჯანო ანანიძე („სპარტაკი“, რუსეთი), სანდრო კობახიძე ( „ვოლინი“, უკრაინა), თორნიკე ოქრიაშვილი („გენკი“, ბელგია), ნიკა კვეკვესკირი („ინტერი“, ბაქო, აზერბაიჯანი) გიორგი მერებაშვილი („ვერია“, საბერძნეთი), ვალერი ყაზაიშვილი („ვიტესი“, ჰოლანდია), ლევან ყენია („სლავია“, ჩეხეთი), მათე ცინცაძე („დინამო თბილისი“, საქართველო).

**თავდამსხმელები:** ლევან მჭედლიძე ( „ემპოლი“, იტალია), ბაჩანა ცხადაძე („ფლამურტარი“, ალბანეთი), მათე ვაწაძე ( „ორჰუსი“, დანია).

**საქართველო-შოტლანდიის დაპირისპირება 4 სექტემბერს ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენაზე“ 20 საათზე დაიწყება, მატჩზე დასასწრები ბილეთები კი 10, 15 და 20 ლარი ეღირება.**

**კოზა კოზახიძე**

ლეგიონერი

# დვალი „დუისბურგში“ ითამაშებს





**საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ცენტრალური მცველი ლაშა დვალი კარიერას გერმანიის მეორე ბუნდესლიგის „დუისბურგში“ გააგრძელებს.**

ინტერნეტპორტალ liga-zwei.de-ს ინფორმაციით, დუისბურგელები ნახევარმცველით და მცველით გაძლიერებას აპირებენ. მათ არჩევანი 191 სანტიმეტრის სიმაღლის 20 წლის ქართველზე შეაჩერეს. დვალს კონტრაქტი ინგლისის ჩემპიონშიპის „რედინგთან“ აკავშირებს, მაგრამ liga-zwei.de იუწყება, რომ დიდი შანსია ის „დუისბურგში“ თავისუფალ აგენტად გადავიდეს.

გასული სეზონის მეორე ნახევარი დვალმა თურქეთის „ქასიმფაშაში“ გაატარა.

**გიორგი შოთაძე**

ინტერნეტიდან

# რა შესთავაზეს როსიო განსედოს?

**არგენტინელი მოდელი და არაერთი სპორტსმენის ყოფილი საყვარელი როსიო განსედო, როგორც თავად ამბობს, ნამეტნავად დაღალა „სიყვითლემ“ და გადაწყვიტა სამოდელო საქმეს საბოლოოდ დაანებოს თავი და არც მეტი, არც ნაკლები, თავი ათასვაებაგამოვლილ არგენტინის პოლიტიკაში ამოყოს.**

იმის გამო, რომ როსიო განსედო არა მხოლოდ არგენტინაში, პრაქტიკულად, მთელს მსოფლიოში ცნობილი და თითით საჩვენებელი ქალია, მისი პერსონით უკვე დაინტერესდნენ არგენტინის პოლიტიკური პარტიები და როგორც ლათინოამერიკული მედია იუწყება, არგენტინელ მოდელს ამ კუთხით შეთავაზებები არ აკლია.

სხვათა შორის, როსიო განსედოს შეთავაზებები ადრეც ბლომად ჰქონდა, ოღონდ სულ სხვანაირი შეთავაზებები, მაგრამ ეს ის დრო იყო, როდესაც გივი სიხარულიძე ჯერ კიდევ ჯეელი ყმაწვილი იყო და სხვები თუ ოკენისგალმა მოქმედებდნენ, იგი იბერიის მიწაზე აკეთებდა თავის შეთავაზებებს. განსედო კი არჩევს შეთავაზებებიდან საუკეთესოს...

**როსტომ რაჭველიშვილი**



## დედამიწის ზურგზე

**ჩინეთში პასუხისმგებლობაში მისცეს თითქმის 200 კაცი ინტერნეტში ხმების გავრცელებისათვის**



„როგორც საზოგადოებრივი უშიშროების სამინისტროს განცხადებაშია აღნიშნული, უკანასკნელი მოვლენების გამო ქვეყნის ხელისუფლებამ მოაწყო კამპანია, რომელიც მიზნად ისახავს არასწორი მონაცემების გამოვლენას ქსელში. 197 კაცი სერიოზულად დაისჯება“, ამბობს ჩინეთის ხელისუფლება, ვინაიდან ხმები დიდი მსხვერპლის შესახებ ტიანცზინის აფეთქების დროს, აბნევს საზოგადოებრიობას.

**ობამამ ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლეს მთას მაკ-კინლის სახელი გადაარქვა და მას დენალი უწოდა**



ორთავიანი მაკ-კინლი, რომლის სიმაღლეც 6168 მეტრია, XVIII საუკუნის ბოლოდან და 1867 წელს ალიასკის შეერთებული შტატებისათვის მიყიდვამდე იყო რუსეთის იმპერიის ყველაზე უმაღლესი პიკი. 1896 წელს ოქროს მაძიებლებმა მთას უილიამ მაკ-კინლის სახელი უწოდეს, რომელიც მაშინ დაასახელეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატად.

**უკრაინის სანაპიროზე სტარტი აიღო საერთაშორისო საზღვაო სწავლება „სი ბრიზი 2015-მა“ ნატოს ქვეყნების მონაწილეობით**



აღნიშნულია, რომ წელს სწავლება იქნება ყველაზე მასშტაბური მთელი ისტორიის მანძილზე. მასში მონაწილეობას ღებულობს 2,5 ათასი სამხედრო მოსამსახურე სხვადასხვა ქვეყნიდან — ამერიკის შეერთებული შტატებიდან, უკრაინიდან, ბულგარეთიდან, გერმანიიდან, საბერძნეთიდან, იტალიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, რუმინეთიდან, შვედეთიდან, თურქეთიდან და მოლდოვიდან. ამ დროს თითქმის ყოველი მესამე სამხედრო იქნება ამერიკის ჯარების წარმომადგენელი.

**ხაკერების შეტაკების სერიების შემდეგ შეერთებული შტატები ჩინეთთან დაკავშირებით სანქციებს ამზადებს**

ასეთი სანქციების შემოღება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბარაკ ობამას ბრძანებულების პრაქტიკული გამოყენების პირველი შემთხვევა გახდება. იგი საშუალებას იძლევა გაყინონ უცხოეთის პირთა და ორგანიზაციათა აქტივები, რომელთა მიმართაც არის ეჭვები ხაკერული შეტაკების საქმეში. ამ დროს თეთრ სახლში უარი განაცხადეს, გაუკეთონ კომენტარი ინფორმაციას სანქციების მომზადების შესახებ.



„ისლამურმა სახელმწიფომ“ დაანგრია პალმირის ერთ-ერთი მთავარი ძეგლი და განაცხადა უარი უცხოურ ვალუტაზე.

თვითმხილველთა სიტყვებით, ბელის ტაძარი, რომელიც აიგო 32 წელს (ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნე), ააფეთქეს 30 აგვისტოს, გადარჩა მხოლოდ ერთი კედელი. რაც შეეხება ვალუტას, ახლა ბოევიკებს ბრუნვაში შემოაქვთ ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის დინარები.

## სულთათანა

# სოსო კაპანაძე

გარდაიცვალა გამოჩენილი კარდიოლოგი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს სამედიცინო-სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის და კავკასიის ხალხთა მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **სიმონ (სოსო) კაპანაძე**.



დაიბადა ქ. ფოთში 1933 წლის 27 მაისს, ცნობილი მშენებლის, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრის დავით კაპანაძის ოჯახში. მან მეტად საინტერესო, შინაარსიანი ცხოვრება და ნაყოფიერი მოღვაწეობის გზა განვლო. ქ. თბილისის მე-3 საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1962 წელს. 1962-1964 წლებში განაწილებით მუშაობდა სოფელ ღორეშის საუბნო საავადმყოფოს ექიმად. 1964-1966 წლებში თბილისის მე-7 საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების ორდინატორად.

1966-1994 წლებში იღვწოდა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის სამედიცინო-კვლევით ინსტიტუტის მიოკარდიუმის ინფარქტთა განყოფილების ექიმ-ორდინატორად;

1968-1975 წ.წ. უმცროს მეცნიერ-მუშაკად;

1989-1994 წ.წ. წამყვან მეცნიერ-მუშაკად;

1994-2010 წ.წ. სოსო კაპანაძე გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის დირექტორის მოადგილე იყო. 2011 წლიდან დღემდე დაუღალავად მუშაობდა ცენტრში. აღსანიშნავია, რომ ძირითად საქმიანობასთან ერთად სოსო კაპანაძე 1975-1995 წ.წ. ქ. თბილისის მთავარი თერაპევტი იყო.

1974 წელს წარჩინებით დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად — თემაზე „მიოკარდიუმის განმეორებითი ინფარქტი“.

მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თანამედროვე ეფექტური მეთოდების და მოწინავე გამოცდილების დანერგვისთვის ექიმთა ჯგუფთან ერთად მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია.

1994 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში შეტანილი დიდი წვლილის, ნაყოფიერი სამეცნიერო კვლევითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით ბატონ სოსო კაპანაძეს მიენიჭა ღირსების ორდენი.

მრავალფეროვანი და ნაყოფიერია ბატონი სოსო კაპანაძის სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობა. უაღრესად გულისხმიერი, მაღალპროფესიული კარდიოლოგი, უშურველი ერთგულებით იდგა ადამიანთა ჯანმრთელობის სამსახურში და ორმოცდაცამეტი წელიწადი გულს, მართლაც რომ გულით მკურნალობდა. ბ-ნმა სოსო კაპანაძემ დაუვიწყარი კვალი დატოვა მის კოლექტივში, მეგობრებსა და პაციენტებში.

ნათელში ამყოფოს შენი სული უფალმა.

**აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი**

---

გიგლა ვეკუა და რუსლან რუსია ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი მკურნალი, მაღალპროფესიონალი კარდიოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, შესანატრი საქმიანი და პიროვნული თვისებებით უხვად დაჯილდოებული მოღვაწე, კარგი მეგობარი, ჭეშმარიტი პატრიოტი, ღირსეული მოქალაქე და დიდებული ოჯახის თავკაცი

**სოსო კაპანაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებსა და ახლობელ-ნათესავებს.

მედეა, ელიზბარ ლომინაძეები ოჯახით მწუხარებით იუწყებიან უკეთილშობილესი პიროვნების, სამედიცინო დარგის საუკეთესო წარმომადგენლის, ღირსეული მოქალაქის

**სოსო კაპანაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებს.

მარინა კანდელაკი, ალეკო ასლანიშვილი, გურამ გოგიაშვილი, თენგიზ კალანდაძე, სპარტაკ ქობულია გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი კარდიოლოგი და ჭეშმარიტად სახალხო მკურნალი, ათასობით მადლიერი პაციენტისთვის სიცოცხლის დამბრუნებელი, იშვიათი სიკეთის მატარებელი პიროვნება და ექიმი

**სოსო კაპანაძე**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

**რეკლამა**
**293-37-87**
**მაჩაბლის ქ. №7.**

გიორგი დუნდუა ოჯახით მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ქალბატონი

**ნათელა შალიკიანი-განუგრავა**

და სამძიმარს უცხადებს შვილს ირაკლი განუგრავას, მის ოჯახსა და სხვა ჭირისუფალთ.

## ინფორმაცია

### ფოთში კვლავ სტიქიას ებრძვიან

**ფოთში** ერთ-ერთი უბანი დაიტბორა. უხვმა ნალექმა განსაკუთრებული ზიანი ნაბადის უბანს მიაყენა. წვიმის შედეგად დატბორილია სამეგრელოს, კოკაიასა და სარსანიას ქუჩები.

ადგილობრივი მთავრობის ინფორმაციით, აღნიშნულ ქუჩებზე არსებული სატუმბი სადგური ელექტროენერგიის გათიშვის გამო არ მუშაობდა.

ამ ეტაპზე შვიდივე სატუმბი სადგური გამართულად მუშაობს და წყლის გადინება მალე მოხდება.



### ელექტრონული მუსიკის საღამო წყალტუბოში

**ზაფხულის** სეზონის დახურვა წყალტუბოში ელექტრონული მუსიკის საღამოთი აღინიშნა. Dj ZaPa lf Dj Walld-ის მუსიკამ საკონცერტო დარბაზ „ივერიას“ წინ უამრავ მსმენელს მოუყარა თავი.

საღამო გვიანობამდე გაგრძელდა, მუსიკის მოყვარულები აქ სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოვიდნენ. ელექტრონული მუსიკის საღამო წყალტუბოში პირველად ჩატარდა. მომავალში წყალტუბოში კლასიკური მუსიკისა და ჯაზის ფესტივალების გამართვა იგეგმება.

საღამოს ორგანიზატორი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ცენტრია, პროექტის მხარდამჭერია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობა.

### ამოღებულია ჰეროინი

შსს-ს ინფორმაციით, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით, სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტში დააკავეს ბათუმში მცხოვრები, 1990 წელს დაბადებული შმაგი შ.

მათივე ინფორმაციით, სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 11,331 გრ ნარკოტიკული ნივთიერება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის თანახმად 4,5365 გრ ჰეროინს შეიცავს.

ლექსი – იერიშზე!

# ნეტავ როდის გათენდება!?.



 იუზა ჩაკვეტაძე

სამშობლო გვაქვს უძველესი,
მიწა ღვთისგან ნაკურთხია,
ნახირს ჩვენზე უკეთ ესმის,
ერთმანეთს ძირს
არ უთხრიან.

ველარ მოვნახეთ საშველი,
ვანგრევთ პაპისგან
დარჩენილს,
ერს სხვისკენ
ხელებგაშვერილს,
არ შეიცოდებს გამჩენი.

წელში გვხრის მძიმე
ცოდვები,
ირყვნება ჩვენი თაობა,
აწმყოს ვშლით, წარსულს
ვშორდებით,
გავხდებით არარაობა...

მეხმა უგულომ, საშიშმა,
მხარი მოჰკვეთა ბერმუხას,
ცივა, მამული გაშიშვლდა,
სევდა მომავალს ფესვს
უხრავს.

ვერ დაიწმინდა კოდორი,
ამღვრეულია ტალღები,
მესმის მშიერი ობოლის,
ქვითინი გულისწამლეები.

არ დავუჯერეთ ილიას,
გვთხოვდა, – ურთიერთ
გატანას...
მომხდურს ძეობა, ლხინი აქვს,
ჩვენ დაგვიმონა სატანამ.

აწმყო მომავალს გვიბნელებს,
ყურს რად არ ვუგდებთ
მოძღვრებას!
კარებს არ ვულებ სიბერეს,
ხვრელი იპოვა, მოძვრება...

ვაჟკაცებს ტყვიას ესვრიან,
ეფერებიან „ცისფერებს“,
დარდის მიზეზი ჩვენშია,
შუღლი მკვიდრ ფუძეს
იშენებს.

არ გვეღირსება ნათელი,
გალმელი ხოხვას მიგვაჩვევს,
დამრჩა მთავარი სათქმელი –
მონობას იწვევს სილაჩრე.

თუ არ გვიშველა გამჩენმა,
ერთმანეთს თვალებს
დავკორტნით,
უქართველებოდ დარჩება,
ღვთისგან ნაკურთხი
წალკოტი.

რა პასუხს ვაძლევთ მინდიას!
სახელს ვივიწყებთ დავითის,
წლები კვლავ სწრაფად
მიდიან,
რა გველოდება ხვალისთვის!?

P.S.
**გული წუხილმა დაისრა,**
**ვერ ვეღირსეთ გამთელებას,**
**დაიგვიანა აისმა,**
**ნეტავ როდის გათენდება!?**

ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში, „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

მცირე ენციკლოპედია

## გარეგნობა ხასიათს ასახავს



**ხალხს შეუძლია, შეაფასოს ხასიათი გარეგნობის მიხედვით. რაც დაადასტურეს მეცნიერებმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ისინი ფოტოებს უღებდნენ მოხალისეებს, რომელთა ფსიქოლოგიური პორტრეტის შედგენას იყენებდნენ მათსავე პასუხებს და მახლობელი ადამიანების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას.**

მოხალისეებს ფოტოსურათები გადაუღეს, რომელთაგან ერთ ფოტოზე ისინი სტანდარტულ პოზაში იყვნენ, რომელიც არანაირ ემოციას არ გამოხატავს და სახის ნეიტრალური გამომეტყველებით იყვნენ გამოსახულები, მეორეზე კი თავისუფალ პოზაში.

ექსპერიმენტის შემდგომ ეტაპზე უცხო პირებს სთავაზობდნენ, განესაზღვრათ პიროვნების 10 თვისება წარმოდგენილი ფოტოების მიხედვით. აღმოჩნდა, რომ სტანდარტულ პოზაში სურათებმა საშუალება მისცეს ადამიანებს სწორად განესაზღვრათ პიროვნების ხასიათის მხოლოდ სამი თვისება. თავისუფალ პოზაში ფოტოებმა კი საშუალება მისცა დამკვირვებლებს, სწორად განესაზღვრათ მათთვის უცნობი ადამიანების ხასიათის ათივე ნიშანი.

## ფოტოსურათები ცრუობენ!

**რეალურ ცხოვრებაში ადამიანები უკეთესად გამოიყურებიან, ვიდრე ფოტოზე, მიაჩნიათ მეცნიერებს ამერიკის შეერთებული შტატებიდან.**



გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ ადამიანები უფრო ლამაზად მიიჩნევენ პირებს, რომლებიც გადაღებულია ვიდეოზე, ვიდრე იგივე სახეები ფოტოებზე, მეცნიერები ირწმუნებიან, რომ სახის სტატიკურ გამომეტყველებაში არის რაღაც, რაც ამცირებს მის მიმზიდველობას მოკლე ვიდეოკლიპთან შედარებით. მკვლევარებმა ამ მოვლენას „გაყინული სახის ეფექტი“ უწოდეს.

გამოკვლევაში მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის მოხალისეებმა, რომლებიც სხვადასხვა პირთა 20 ვიდეოკლიპს უყურებდნენ, რის შემდეგ მათ ახლახან ნანახი ვიდეოდან ოც-ოცი „გაყინული“ კადრი დაურიგეს, როდესაც მათ სთხოვეს, შეეფასებინათ ადამიანთა მიმზიდველობა ფოტოზე და ვიდეოზე, ვიდეოკადრები უფრო მაღალ შეფასებას იღებდა, ვიდრე ფოტოკადრები. გამოცანად რჩება, რატომაა, რომ მიმიკა და მოძრაობა ზრდის მიმზიდველობას, როცა ცხადია, რომ პორტრეტულ ფოტოზე სილამაზის სრულად გადმოცემა ადვილი საქმე როდია.

## ვის ენდობიან

**საშუალო დონის მენეჯერები ხშირად ბაძავენ თავიანთი ხელმძღვანელების ქცევას, ამტკიცებენ ბრიტანელი ფსიქოლოგები კემბრიჯისა და ერაზმის უნივერსიტეტებიდან. თუმცა, მხოლოდ იმ**



**შემთხვევაში, თუ მათი სამუშაო ადგილი ბოსის სამუშაო ადგილთან ახლოა. თანაც თანამშრომლის პირად თვისებებსა და მოქცევას მუშაობის დროს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს.**

მეცნიერებმა გამოარკვიეს: საშუალო რგოლის მენეჯერები, რომლებიც ავი უფროსის გვერდით ისხდნენ, ხშირად უსამართლოდ ეპყრობოდნენ თავიანთ ხელქვეითებს. ისინი კი, ვინც ავი უფროსისგან შორს იყვნენ, პირიქით, თანამშრომლებს ეპყრობოდნენ მეგობრულად.

მენეჯერები ბაძავდნენ ბოსს, მასზე შთაბეჭდილების მოსახდენად ან სამუშაოს შესანარჩუნებლად. მაგრამ ასეთ ქცევას თითქმის ყოველთვის ნეგატიური შედეგები მოჰყვება.

რეკლამა
29 3-37-87
მაჩაბლის ქ. №7.

ცინცხალი ანეკდოტები

**მიდის** ორკესტრის რეპეტიცია. დირიჟორი:

– სდექ, სდექ! მესამე ვიოლინო ტემპიდან ვარდება!

დიდი ხნის პაუზის შემდეგ ორკესტრიდან ვიღაცის ხმა ისმის:

– კი მაგრამ, მესამე ვიოლინო დღეს საერთოდ არ არის!

დირიჟორი დინჯად აწყობს ნოტებს და მშვიდად ამბობს:

– კეთილი, მაშინ დაურეკეთ და ჩემი შენიშვნა გადაეცით!

* * *

– **ქალური** ლოგიკა, იცოცხლეთ, მაგარი რამეა, მაგრამ რა საჭირო იყო ბაზრობის ერთი ბოლოდან მეორეში ჩემი გაყვანა იმ კაბის საჩვენებლად, რომელიც მას „არ მოეწონა“?!.



* * *

– **ძვირფასო,** წარმოგიდგენია ხუთი კილოგრამით გავხდი!

– მაკიაჟით აიწონე თუ უმაკიაჟოდ?

* * *

**დაიწყე** ნელ-ნელა მარადიულზე ფიქრი, ჭიჭიკია?

– დავიწყე, კი არა, მაგაზე ბაღნობიდან ვფიქრობ, – ნეტავი როდის დადგება ის დრო, ფული საკმარისად რომ მექნება?!

* * *

– აი, შენ, ჩემო კარგო, როგორც მთხოვე – ათასი ევრო!

– კი მაგრამ, რატომ ერთი ათასი და არა, ვთქვათ, სამი?

– ვერ გავიგე, ძვირფასო, რა ენაზე მითხარი ახლა „მადლობა“?..

* * *

– ეს რა ცხოვრებაა! ვიდრე 30 წლისა შესრულდები, ამტკიცებ, რომ უკვე დიდი გოგო ხარ, 30 წლის შემდეგ კი სულ იმის მტკიცება გიხდება, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ!

კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე